



ევროკავშირი
საქართველოსთვის



COS | CAUCASUS
OPEN SPACE

გენდერული და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კარგი პრაქტიკის მიმოხილვა

ავტორები: თამარ სამაგლიშვილი, სოფიო სოხაძე, ირმა პავლიაშვილი, თეონა მაჭარაშვილი

კვლევაში ასევე მონაწილეობდა: მათა ახალაია

კვლევის ხელმძღვანელები და გამოცემაზე პასუხისმგებელი პირები: ირმა პავლიაშვილი, თეონა მაჭარაშვილი

დიზაინი/დაკაბადონება: ნათია გაბაძე

© აკრძალულია დოკუმენტში მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება და გავრცელება კომერციული მიზნით „ღია სივრცე კავკასიის“ თანხმობის გარეშე.

თბილისი 2023

მიმოხილვა შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ღია სივრცე კავკასია (COS) და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

შინაარსი

აბრევიატურა.....	2
შემაჯამებელი მიმოხილვა	3
მეთოდოლოგია	6
დაბრკოლებები კვლევის მიმდინარეობისას.....	9
სიტუაციური ანალიზი.....	10
საერთაშორისო სტანდარტები, საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებები და იმპლემენტაციის პროცესი	10
ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო და ინსტიტუციური მექანიზმები.....	15
არსებული გამოწვევები	18
საუკეთესო საერთაშორისო კარგი პრაქტიკა	21
ფემიციდი.....	23
გაუპატიურება.....	36
ინტიმური პარტნიორის მიერ ძალადობა.....	40
ადევნება	45
საერთაშორისო პრაქტიკის კვლევის მიგნებები.....	48
სახელმწიფოს კომპლექსური მიდგომა გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების პრევენციისა და მასზე რეაგირების კუთხით (სახელმწიფო პოლიტიკა).....	49
„გაუპატიურების“ ცნების სტამბოლის კონვენციის შესაბამისი განმარტება საკანონმდებლო დონეზე და „ინტიმური პარტნიორის“ განსაზღვრება.....	51
გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების „მონაცემთა არქიტექტურა“	52
შეჯამება.....	54
რეკომენდაციები	56
ბიბლიოგრაფია	61
დანართი.....	64

აბრევიატურა

BPfA - პეკინის სამოქმედო პლატფორმა

CEDAW- გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია

ECHR - ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია

ICCPR - გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი

ICESCR - სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ საერთაშორისო უფლებათა პაქტი

SDG - მდგრადი განვითარების მიზნები

CSI - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

GREVIO - ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ

ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფი

GIA - გენდერული გავლენის შეფასება

შემაჯამებელი მიმოხილვა

დოკუმენტი „გენდერული და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კარგი პრაქტიკის მიმოხილვა“ მომზადდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „გენდერული და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა“. პროექტის მიზანია გენდერული და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი დახმარება, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების გაზრდა გენდერული და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. მიმოხილვა მიზნად ისახავს გენდერული და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, იმ მექანიზმების ანალიზს და მათ შესახებ ცოდნის დაგროვებას, რომლებიც საკანონმდებლო ჩარჩოს ცვლილებების პარალელურ პოლიტიკურ-პროგრამულ ჩარევებს ეხება და რომელთაც დადებითი შედეგი ჰქონდა გენდერული და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეებში. მათი ასახვა შესაძლებელია საქართველოს პოლიტიკურ-საკანონმდებლო, სოციალური თუ კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.

მიმოხილვის ფარგლებში, აგრეთვე შეფასდა საქართველოში არსებული გამოწვევები გენდერული თანასწორობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის კუთხით, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოსადმი გამოცემული რეკომენდაციები, საერთაშორისო კარგი პრაქტიკა და მათ საფუძველზე ჩამოყალიბდა ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები.

კვლევის ფარგლებში გამოკვეთილი მიგნებები და შემუშავებული რეკომენდაციები შემდეგია:

მიგნებები:

სახელმწიფოს კომპლექსური მიდგომა გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების პრევენციისა და მასზე რეაგირების კუთხით (სახელმწიფო პოლიტიკა): კვლევაში განხილულ სახელმწიფოებს აქვთ მრავალდონიანი და მულტისექტორული მიდგომა, მათ შორის შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენელთა კომპლექსური ჩართულობის მხრივ. ისინი ზრუნავენ ინფორმაციის თანაბარი ხელმისაწვდომობისა და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერისათვის, კულტურულ მგრძობიანობასა და მისადაგებაზე. სახელმწიფოებს აქვთ კომპლექსური და განგრძობითი პოლიტიკა გენდერული დანაშაულების მიმართ. მათი მიდგომა ეფუძნება კვლევასა და საჭიროებებზე დაფუძნებული ცნობიერების ამაღლების კამპანიების და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას. განათლების და პროფესიული გადამზადების პროგრამები გათვალისწინებულია მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენელთათვის.

„გაუპატიურების“ ცნების სტამბოლის კონვენციის შესაბამისი განმარტება საკანონმდებლო დონეზე და „ინტიმური პარტნიორის“ განსაზღვრება: მიმოხილულ ქვეყნებში „გაუპატიურების“ ცნება შესაბამისობაშია სტამბოლის კონვენციასთან, რომელიც მოიცავს მინიმუმ კომპონენტებს „თანხმობის არქონა“ და „სქესობრივი კავშირი“. „ინტიმური პარტნიორის“ განმარტება დარეგულირებულია კანონმდებლობით.

გენდერული ნიშნით ჩადენელი დანაშაულების „მონაცემთა არქიტექტურა“: მიმოხილულ ქვეყნებში გენდერული ნიშნით ძალადობის (მაგ: გაუპატიურების ცნება) დანაშაულების საკანონმდებლო შემადგენლობა შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან. ინფორმაციის დამუშავება ხდება ფემიციდის სპეციფიური ტიპოლოგიის გათვალისწინებით. პერმანენტულია ფემიციდის რისკ-ფაქტორების მონიტორინგი და ამავდროულად ძალადობის წინარე ისტორიის შესწავლა/ანალიზი ხორციელდება ძალადობრივი შემთხვევების პრევენციის მიზნით. გენდერული თანასწორობის/ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის დისკურსი ინკლუზიურია და დაფუძნებულია მტკიცებულებებსა და ცოდნაზე.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია გენდერულ სტატისტიკაზე დაფუძნებული საჯარო პოლიტიკის პროცესის წარმართვა ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე, მულტისექტორული და მულტიდისციპლინური მიდგომების გათვალისწინებით;

რეკომენდებულია კომპლექსური აქტივობების შემუშავება და განხორციელება ფემიციდსა და ფემიციდის მცდელობაზე და ძალადობის წინარე ისტორიის დეტალურ ანალიზზე დაყრდნობით, მათ შორის შესაბამისი კომპლექსური ღონისძიებების გატარება საზოგადოების ინფორმირებულობის და ცნობიერების ამაღლების, გენდერული დისკურსის საგანმანათლებლო პროგრამებში შემოტანის გზით;

რეკომენდებულია უსაფრთხო „მესამე სივრცეების“ შექმნა და გენდერულად ინფორმირებული ინფრასტრუქტურის განვითარება. ამავდროულად, მართლმსაჯულებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მოწყვლადი ჯგუფებისთვის, მათ შორის, ინტერსექციული მოწყვლადობის მქონე ბენეფიციარებისთვის.

რეკომენდებულია საქართველოს პარლამენტმა პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს ჩართულობით მოამზადოს და გაატაროს ცვლილებები „გაუპატიურების“ ცნების სტამბოლის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის

კოდექსსა და სხვა რელევანტურ¹ კანონმდებლობაში „ინტიმური პარტნიორის“ ცნება განისაზღვროს იმ კუთხით, რომ მოიცვას „მიუხედავად იმისა, მოძალადე ეწევა თუ არა საოჯახო მეურნეობას“ დეფინიცია;

რეკომენდებულია გენდერული თანასწორობის საბჭომ უზრუნველყოს ფემიციდთან დაკავშირებული კომპლექსური თემატური მოკვლევის ჩატარება (საქართველოს სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფთან და თემატიკაზე მომუშავე სხვა აქტორებთან ერთად). აგრეთვე, თემატური მოკვლევების პერმანენტულობა და სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება/ანალიზი; გენდერული, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ამკრძალავი კანონმდებლობის მუდმივი ანალიზი და მისი ფუნქციონირების მონიტორინგი/შეფასება.

რეკომენდებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ, საქართველოს პროკურატურამ და შსს-მ უზრუნველყონ მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე პროფესიონალების მუდმივი გადამზადება, საჭიროებებზე დაფუძნებული ტრენინგ-მოდულების შემუშავების გზით. აგრეთვე, გამოცდილების სისტემატიზაცია, რაც მოიცავს ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობას.

რეკომენდებულია საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ უზრუნველყოს მოსამართლეების საჭიროებების გათვალისწინებით დამხმარე მეთოდოლოგიის შემუშავება ფემიციდისა და გენდერული ძალადობის იდენტიფიცირების მიზნებისთვის.

აღნიშნული რეკომენდაციების შესრულება საწყის ეტაპზე, ხელს შეუწყობს საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესებას და დაახლოებას საერთაშორისო სტანდარტებთან, მიმართვიანობის გაზრდას და შემთხვევების გამოვლენას, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში საზოგადოებრივ ცხოვრებაში - ცვლილებებსა და ოჯახში ძალადობის შემცირებას.

¹ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონი

მეთოდოლოგია

საერთაშორისო კარგი პრაქტიკის წინამდებარე მიმოხილვის მეთოდოლოგია ეფუძნება სამაგიდე კვლევას და მოიცავს:

- პოლიტიკის მიმოხილვას (საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ - ძირითადად, ევროკავშირისა და გაეროს მიერ კარგ პრაქტიკად მიჩნეული პოლიტიკის ჩარევების მიმოხილვას საქართველოს კონტექსტთან მიმართებაში);
- საკანონმდებლო მიმოხილვას (საქართველოში არსებული საკანონმდებლო ანალიზის საფუძველზე, გამოწვევების გამოკვეთა, კარგი პრაქტიკის ფარგლებში პოლიტიკის თემატური იდენტიფიცირებისთვის);
- შემთხვევების ანალიზს (პროგრამულ დონეზე, სხვადასხვა სახის კომპლექსურ ჩარევას არსებულ ვითარებაში, ოჯახში და გენდერული ძალადობის პრევენციის, შემცირებისა და მის მიერ გამოწვეული ზიანის შემცირებისთვის).

კვლევის პროცესი რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა:

კვლევის საწყისი, მოსამზადებელი ეტაპი, მოიცავდა ოჯახში და გენდერული ძალადობის მიმართულებით საქართველოს საკანონმდებლო-პოლიტიკური და პრაქტიკული გამოწვევების შესახებ კვლევების/ანგარიშების მიმოხილვას, გენდერული ძალადობის ძირითადი ტენდენციების განსაზღვრას და საჯარო ინფორმაციის გამოთხოვას/საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციის დამუშავებას სახელმწიფოში არსებული მექანიზმების მიმოხილვისთვის.

კვლევის მეორე, ძირითად ეტაპზე, მოხდა იდენტიფიცირებული მიმართულებების მიხედვით, საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ მიჩნეული (ძირითადად, ევროკავშირი და გაერო) კარგი პრაქტიკის შესწავლა. კარგი პრაქტიკის მაგალითებს შორის შერჩევა და ფოკუსირება მოხდა ისეთი ტიპის კარგ პრაქტიკაზე, რომელიც აკმაყოფილებდა ჩამოთვლილთაგან ერთ ან რამდენიმე კრიტერიუმს:

- კარგ პრაქტიკად მიჩნეული პოლიტიკური, საკანონმდებლო ან პროგრამული ჩარევა წარმატებული აღმოჩნდა სხვა მსგავს ინიციატივებთან შედარებით, რაც დადასტურდა გარე შეფასებით ან ავტორიტეტული კვლევით. წარმატება განიმარტა როგორც ისეთი თვისებრივი ან რაოდენობრივი ცვლილება, რაც დადებითად აისახა ოჯახში და გენდერული ძალადობის გარემოზე სამიზნე ქვეყანაში (მაგალითად, გაზრდილი ინფორმირებულობა დაცვის უფლებებისა და მექანიზმების შესახებ, ცხელ ხაზზე მიმართვიანობის ზრდა, და ა.შ.);

- კარგ პრაქტიკად მიჩნეული ჩარევა თავისი სტრუქტურით იძლევა შესაძლებლობას, მოხდეს მისი სრულად ან ირიბად მორგება საქართველოს პოლიტიკურ-საკანონმდებლო და სოციალურ-კულტურულ რეალობაში;
- კარგ პრაქტიკად მიჩნეული ჩარევა, მართალია, არ იძლევა პირდაპირ ან ირიბად გადმოტანის შესაძლებლობას, თუმცა, მნიშვნელოვანი დასკვნებისა და რეკომენდაციების იდენტიფიცირების საფუძველს ქმნის, რაც მნიშვნელოვანია საქართველოს კონტექსტში ამ მიმართულებით სხვადასხვა პოლიტიკური თუ პროგრამული ჩარევის დასაგეგმად;
- კარგ პრაქტიკად მიჩნეული ჩარევა, შეძლებისდაგვარად ახალია და რელევანტურია თანამედროვე რეალობაში;
- კარგ პრაქტიკად მიჩნეული ჩარევა თემატურად პირდაპირ ეხება საქართველოს კონტექსტში არსებულ იდენტიფიცირებულ ძირითად პრობლემურ მიმართულებებს, რომლებიც გამოიკვეთა საწყის ეტაპზე.

კარგ პრაქტიკად მიჩნეული მაგალითების შერჩევის აუცილებელი წინაპირობაა მათი შესაბამისობა ევროკავშირის ინსტრუმენტთან - ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომასთან, რაც მათ შორის, მოიცავს მონაცემებზე დაფუძნებულ ჩარევას, ბენეფიციარი ქალების პირდაპირ ჩართულობას ჩარევის დაგეგმვასა და განხორციელებაში და თავისი არსით მულტიდისციპლინური და სინერგიულია. საჭიროებების ანალიზის პარალელურად, კვლევის თემატიკის განსაზღვრისას მკვლევართა გუნდი დაეყრდნო ევროკავშირის გენდერული თანასწორობის სტრატეგიას (2020-2025).²

წინასწარი მოკვლევით იდენტიფიცირებული ძირითადი საკითხები, რის მიხედვითაც დაჯგუფდა შერჩეული კარგი პრაქტიკის მაგალითები, შემდეგია:

- ფემიციდი;
- გაუპატიურება;
- ინტიმური პარტნიორის მიერ ძალადობა;
- ადევნება.

ამავდროულად, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური გამოწვევაა ევროკავშირის 12 პრიორიტეტის შესრულება, და ვინაიდან აღნიშნული კრიტერიუმებით საუკეთესო გამოცდილება სწორედ ევროკავშირის სახელმწიფოებში მოიპოვება, კვლევა ძირითადად ფოკუსირდა სწორედ ევროკავშირის მაგალითებზე. კონკრეტული ქვეყნების შერჩევა მოხდა ერთი მხრივ, ზემოხსენებული კარგი პრაქტიკისთვის დამახასიათებელი

² [A Union of Equality: Gender Equality Strategy 2020-2025](#) (Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions. Council of Europe [Gender Equality Strategy 2018-2023](#).

კრიტერიუმებიდან გამომდინარე, ხოლო მეორე მხრივ, შეირჩა ის რვა ქვეყანა, რომლებსაც გენდერული თანასწორობის ინდექსის მიხედვით, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის,³ საუკეთესო შედეგი ჰქონდათ ოჯახში ძალადობის პრევენციის, შემცირების, ან ეფექტური ჩარევის მხრივ (ესპანეთი, შვედეთი, დანია, ნიდერლანდები, საფრანგეთი, ფინეთი, ირლანდია და ბელგია).

³ გენდერული თანასწორობის ინდექსი ინსტრუმენტია, რომელიც შემუშავდა ევროკავშირის ქვეყნებში გენდერული თანასწორობის მიმართულებით პროგრესის გასაზომად, და საფუძვლად ედება ევროკავშირის ტერიტორიაზე გენდერული თანასწორობის მიმართულებით პოლიტიკის ფორმირებას და მის გაუმჯობესებას. ინდექსის ბოლო გამოცემაა: Gender Equality Index 2022: the Covid-19 Pandemic and Care, European Institute for Gender Equality; ანგარიში ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

დაბრკოლებები კვლევის მიმდინარეობისას

ძირითად სირთულეს და მთავარ შეზღუდვას წარმოადგენდა ქვეყანაში არსებული დამძიმებული პოლიტიკური და პოლარიზებული გარემო, რომელიც მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების საარსებო გარემოზე უარყოფითად აისახა.⁴ საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესის ფარგლებში (წევრობაზე განაცხადი საქართველომ 2022 წლის 3 მარტს წარადგინა ფართომასშტაბიანი აქციების ფონზე) დაიწყო მუშაობა პრიორიტეტების მე-9 ნაწილზე - გენდერულ თანასწორობასა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. ამავე პერიოდში, მასობრივი პროტესტების პარალელურად, მნიშვნელოვნად გაღრმავდა პოლარიზაცია, გაძლიერდა ხელისუფლებასა და მასთან დაკავშირებული ძალადობრივი ჯგუფების მხრიდან ულტრაკონსერვატიული ძალადობრივი პროპაგანდის გავრცელება, რომელმაც დააზიანა ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის არსებული საერთო საკოორდინაციო მექანიზმები. გართულდა ინფორმაციის გაცვლა, კოორდინაცია და თანამშრომლობა. ყოველივე აღნიშნულმა, ერთიანობაში შეაფერხა და გააჭიანურა ცვლილებებზე მუშაობისა და კვლევის პროცესის ანალიტიკური/შემაჯამებელი ფაზა (კვლევის მიზნისა და საკვლევი თემატიკის სავარაუდო ცვლილების გამო). კერძოდ, პირველ ეტაპზე, გენდერულ თანასწორობასა და ქალთა უფლებებზე მომუშავე პირთა ჩართულობით განისაზღვრა გამოწვევების ნუსხა და სამუშაო ფორმატი (2022 წლის ივლის-აგვისტოს პერიოდი),⁵ თუმცა საქართველოს პარლამენტმა, ამ მიმართულებით გასატარებელი ცვლილებები⁶ მხოლოდ 2022 წლის ბოლოს ინკლუზიური პროცესის გარეშე მიიღო. რიგი საკითხები კი 2023 წლისთვის გადადო.

⁴ სსო მეტრი, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერების და ხელსაყრელი გარემოს შექმნის გზამკვლევი. საქართველო, ქვეყნის ანგარიში 2022, თბილისი. ანგარიში ააიპ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის (CSI) მიერ მომზადდა, ააიპ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან და ააიპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან თანამშრომლობის საფუძველზე. ანგარიშის შექმნაში მონაწილეობდა ღია სივრცე კავკასიის წარმომადგენელიც, როგორც CSI მრჩეველთა საბჭოს წევრი. ანგარიში ხელმისაწვდომია [ვებგვერდზე](#).

⁵ ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს ოფიციალურ სოციალური ქსელების [ანგარიშსა](#) და საქართველოს პარლამენტი [ვებგვერდზე](#).

⁶ მაგ. გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია 2022 წლის 28 დეკემბერს [დამტკიცდა](#), ხოლო ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფციის დამტკიცება 2023 წლისთვის გადაიდო.

სიტუაციური ანალიზი

საქართველოში გენდერულ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მუშაობა 1994 წლიდან დაიწყო, როდესაც ქვეყანამ CEDAW კონვენციას მოაწერა ხელი და რატიფიცირება გაუკეთა.⁷ ამ დროიდან საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს გენდერულ თანასწორობასა და გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ სხვადასხვა დონეზე მუშაობა.⁸ 2006 წელს დამტკიცდა კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ,⁹ ხოლო 2010 წელს - გენდერული თანასწორობის შესახებ.¹⁰ 2012 წელს მოხდა ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია, ხოლო 2013-2014 წლებში სხვადასხვა ინსტიტუციაში (მათ შორის სახალხო დამცველისა და პრემიერ მინისტრის ადმინისტრაციაში¹¹) შეიქმნა ოჯახში ძალადობის/გენდერული თანასწორობის ცალკე განყოფილებები და წარმომადგენლები, ხოლო სტამბოლის კონვენციაზე შეერთებასთან ერთად, გააქტიურდა მუშაობა კონვენციასთან საკანონმდებლო ჰარმონიზაციის მიმართულებით.

საერთაშორისო სტანდარტები, საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებები და იმპლემენტაციის პროცესი

საქართველო არაერთ საერთაშორისო აქტს შეუერთდა, რომელთა ჭრილში ვალდებულება აიღო უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა ფუნდამენტური პრინციპების დაცვა ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის კუთხით. კერძოდ: გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (ICCPR)¹², სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (ICESCR)¹³, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენცია (CEDAW), ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია

⁷ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენცია (CEDAW). დოკუმენტი ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

⁸ ქალი და კაცი საქართველოში: სტატისტიკური პუბლიკაცია, 2022, ხელმისაწვდომია [საქსტატის ვებგვერდზე](#).

⁹ დოკუმენტი ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

¹⁰ დოკუმენტი ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

¹¹ შეიქმნა თანამდებობა პრემიერ მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში, თუმცა მოგვიანებით 2020 წლის შემდგომ პოზიციის დასახელებიდან „გენდერული თანასწორობის საკითხებში“ დეფინიცია ამოიღეს.

¹² დოკუმენტი ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

¹³ დოკუმენტი ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

(ECHR)¹⁴, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია)¹⁵. ადამიანის უფლებათა დაცვის ფუძემდებლური დოკუმენტების გარდა, საქართველო შეუერთდა მდგრადი განვითარების მიზნებს (SDG), რომლის 5.2 და 5.3 ამოცანები ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის ყველა ფორმისა და საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრას ისახავს 2030 წლისთვის.

გაეროს საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ - საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ ხელმომწერი სახელმწიფოები და, მათ შორის საქართველო კისრულობენ ვალდებულებას, გაეროს პრინციპების შესაბამისად, უზრუნველყონ ადამიანთა მოდგმის ყველა წევრის თანდაყოლილი ღირსების, განუყოფელი და თანასწორი უფლებების აღიარება მსოფლიოში, რაც არის თავისუფლების, სამართლიანობის და მშვიდობის საფუძველი.

სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (ICESCR) - სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი ადგენს, რომ ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების საფუძველზე ისინი თავისუფლად განსაზღვრავენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად ისწრაფვიან ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარებისაკენ. პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, მათ შორის საქართველო კისრულობენ ვალდებულებას, თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ პაქტით გათვალისწინებული ყველა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით სარგებლობა.

გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ - ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (CEDAW) ემსახურება გენდერული თანასწორობის მიღწევას, ქალთა და გოგონათა მიმართ არსებული ძალადობის აღმოფხვრას. კონვენციის ფარგლებში ხელმომწერი ქვეყნები იღებენ პასუხისმგებლობას, გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს კომიტეტში განსახილველად პერიოდულად წარუდგინონ მოხსენება კონვენციის დებულებათა შესასრულებლად.¹⁶

¹⁴ დოკუმენტი ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

¹⁵ დოკუმენტი ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

¹⁶ კონვენციის მე-18 მუხლის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, გაეროს გენერალურ მდივანს კომიტეტში განსახილველად წარუდგინონ მოხსენება საკანონმდებლო, სასამართლო, ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც გატარდა კონვენციის დებულებათა შესასრულებლად, ასევე, მიღწეული პროგრესის შესახებ: 1. დაინტერესებული სახელმწიფოსათვის ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან ერთი წლის განმავლობაში; 2. ამის შემდეგ, სულ ცოტა, ყოველი ოთხი წლის მერე და შემდგომში, როცა ამას კომიტეტი მოითხოვს.

კონვენციაზე შეერთებით საქართველომ აღიარა ვალდებულებები ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის პოლიტიკის გატარებისა და ამ მიზნით, თანასწორუფლებიანობის პრინციპის საკანონმდებო ჩარჩოში ასახვისა და მისი პრაქტიკულად შესრულების თაობაზე.¹⁷

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (ECHR) - ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია ადგენს, დისკრიმინაციის გარეშე, გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის უზრუნველყოფას განურჩევლად (სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნის მიხედვით).

პეკინის სამოქმედო პლატფორმა (BPfA) - პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა 1995 წელს ქალთა საკითხებზე გამართულ მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე მიღებული მთავარი დოკუმენტია, რომელიც გაეროს ყველა წევრ სახელმწიფოს ეხება. დოკუმენტში დადგენილია მთავრობების ვალდებულება, ხელი შეუწყონ ქალებისა და გოგონების უფლებათა განხორციელებასა და დაცვას.¹⁸

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები 2030 - გენდერულ თანასწორობაზე ყურადღებას გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებიც ამახვილებს და მისი დღის წესრიგით, სახელმწიფოებმა უნდა მიაღწიონ: ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საჯარო სფეროებში ქალთა თანაბარი და ეფექტიანი მონაწილეობას, მათთვის დაწინაურების, ლიდერობის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, ქალთა ეკონომიკურ რესურსებთან თანაბარ, სოციალური დაცვის სისტემასა თუ შესაბამის ინფრასტრუქტურასთან წვდომის ამოცანებს. საქართველომ მიზნების ნაციონალიზაცია მოახდინა, რა დროსაც იგივე პრიორიტეტები განსაზღვრა.¹⁹

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია) - კონვენცია მრავლისმომცველი საერთაშორისო დოკუმენტია, რომელიც ქალებზე/გოგონებზე ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას ეხმიანება. ძალადობის

¹⁷ 2014 წელს საქართველოს მიმართ გაცემული რეკომენდაციების/საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეფასების ფარგლებში, კომიტეტის მიერ ხაზგასმულია სახელმწიფოს მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრასთან მიმართებით აუცილებლად გასატარებელი ზომების თაობაზე, CEDAW/C/GEO/CO/4-5, Concluding observations on the combined fourth and fifth periodic reports of Georgia, 2014, პარა. 20-21.

¹⁸ გაერო, მსოფლიო მეოთხე კონფერენცია, 1995. ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

¹⁹ მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციისა და კოორდინაციის პროცესი, მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის მიხედვით, 2015 წელს დაიწყო. ამ პროცესის ხელმძღვანელობა/კოორდინაცია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას დაევალა. მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზებული ამოცანები ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

პრევენცია, მსხვერპლთა დაცვა, მოძალადეებზე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება და ამ მექანიზმების ეფექტიანობისთვის ყოვლისმომცველი, კოორდინირებული პოლიტიკის წარმართვა - კონვენციის ძირითადი პრინციპებია, რომელთა შესრულებას ხელმომწერი სახელმწიფოები, მათ შორის საქართველოც, კისრულობენ. აქტი მოიცავს მონიტორინგის მექანიზმსაც.²⁰

საქართველომ, საერთაშორისო დოკუმენტების ხელმოწერით და მათი ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციით, ჯეროვანი გულისხმიერების სტანდარტის ვალდებულება აიღო, რაც მოიცავს სახელმწიფოს მიერ დანაშაულის თავიდან აცილების, გამოძიებისა და დასჯის, ასევე, დაზარალებულთათვის კომპენსაციის გადახდის ვალდებულებას.²¹ შესაბამისად, ქვეყნის კანონმდებლობაში აისახა გენდერული თანასწორობის, გენდერული ნიშნით და ქალთა მიმართ ძალადობისაგან დაცვის გარანტიები და მექანიზმები.

საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩო (საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები) გენდერული და ოჯახში ძალადობის სფეროში განვითარებულია და მოიცავს საკანონმდებლო მოწესრიგებას, რომლის ძირითადი ბაზა ეფუძნება საერთაშორისო ვალდებულებებს და სტანდარტებს. თუმცა გენდერული და ოჯახში ძალადობის დანაშაულებზე, ფემიციდის შემთხვევებზე რეაგირება და მისი თავიდან არიდება კვლავ პრობლემურია. პოლიტიკური ჩარევის (პრევენციული ღონისძიებები, სოციალური და ეკონომიკური გაძლიერების პროგრამები) ხასიათი ფრაგმენტული და ფორმალისტურია. რჩება საკითხები, რომელიც ჯერ კიდევ რეგულირების მიღმაა და არ არის შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან (ინტიმური პარტნიორის და მასთან დაკავშირებული საოჯახო მეურნეობის დეფინიციის, კონვენციასთან შესაბამისობაში მყოფი გაუპატიურების ცნების განსაზღვრება და სხვა).

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფის (GREVIO)²² შეფასებით საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები

²⁰ მონიტორინგის მექანიზმი ორი ორგანოსაგან შედგება: ექსპერტთა ჯგუფი ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ (GREVIO), რომელიც დამოუკიდებელ ექსპერტთაგან შემდგარი ორგანოა და მხარეთა კომიტეტი, რომელიც კონვენციის ხელშემკვრელი მხარე სახელმწიფოების ოფიციალური წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებულ პოლიტიკურ ორგანოს წარმოადგენს.

²¹ CEDAW, General Recommendation N19, Violence Against Women, 1992, პარ. 9

²² ადამიანის უფლებათა მონიტორინგის დამოუკიდებელი ორგანო, რომლის მანდატიც მოიცავს ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (CETS No. 2010, "სტამბოლის კონვენცია") მხარეთა მიერ განხორციელების მონიტორინგს.

გადადგა სტამბოლის კონვენციასთან კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, თუმცა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში გაუპატიურების და სექსუალური ძალადობის სხვა დანაშაულთა განმარტებები, კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანას საჭიროებს. მნიშვნელოვანია სხვადასხვა სერვისთან ხელმისაწვდომობის გაზრდა. ანგარიშის თანახმად, სახელმწიფომ მეტი ძალისხმევა უნდა მიმართოს იმ ქალებისკენ, რომლებიც ინტერსექციურ დისკრიმინაციას განიცდიან და, მათ შორის, არიან არა მარტო, შშმ, ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსუალი ქალები, არამედ ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული ქალებიც. რეკომენდაციები მოიცავს ამ ჯგუფების ცნობადობის ამაღლებას მათი უფლებებისა და ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ, ასევე ამ ჯგუფებზე ფოკუსირებული კვლევების ფინანსურ მხარდაჭერას. აგრეთვე, ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღკვეთის შესახებ კანონების, სახელმწიფო პოლიტიკისა და პროგრამების მომზადების, კოორდინირებისა და განხორციელების ყველა ეტაპზე ინკლუზიური პროცესის წარმართვას.²³

უკვე მოგვიანებით, ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მე-6 პერიოდული ანგარიშის ფარგლებში საქართველოსადმი წარმოდგენილმა რეკომენდაციებმა²⁴ ყურადღება სწორედ პოლიტიკურ-საკანონმდებლო, სოციალურ ასპექტებზე გააკეთა. კერძოდ, დოკუმენტის მიხედვით, მნიშვნელოვანია ქვეყანამ ყურადღება გაამახვილოს:

- ფორმალური და არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/დახვეწასა და ინდივიდუალურ, საჭიროებებზე ორიენტირებულ მიდგომაზე, მათ შორის ინტერსექციულად მოწყვლადი ჯგუფებისთვის (სოფლად მცხოვრები ქალები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, დევნილები, ლტოლვილები, კონფლიქტით დაზარალებული და შშმ ქალები), მოსამართლეებისა და მართლმსაჯულების სისტემაში ჩართული სხვა პირებისთვის;
- რეპროდუქციულ უფლებებზე სწავლების შემოღებაზე; ცნობიერების ამაღლებაზე, მათ შორის მულტისექტორული კამპანიების წარმოების გზით, რათა გაძლიერდეს ძალისხმევა ოჯახში ძალადობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად, შემცირდეს საზოგადოებაში არსებული საზიანო სტერეოტიპები და დამოკიდებულებები ქალების მიმართ, საზოგადოებრივ სივრცესა და პოლიტიკაში ძალადობრივ ნარატივებთან საბრძოლველად, რათა არ მოხდეს ძალადობრივი ენის ნორმალიზება;
- გაიზარდოს არსებულ დამცავ/სოციალურ სერვისებზე, მათ შორის სამართლებრივ დახმარებაზე, წვდომა ინტერსექციულად მოწყვლადი

²³ ანგარიში ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

²⁴ CEDAW Concluding observations on the sixth periodic report of Georgia, ხელმისაწვდომია გაეროს [ვებ-გვერდზე](#).

ჯგუფებისთვის, როგორცაა ლგბტქი+, დევნილი, ლტოლვილი, სოფლად მცხოვრები, შშმ და სხვა ქალები;

- ქვეყნის კორექციის პროგრამების სავალდებულო სახით განსაზღვრაზე, ფემციდის ფაქტების შესამცირებლად;
- კონსტიტუციური პრინციპის არსებითი გენდერული თანასწორობის შესრულებისთვის გენდერული გავლენის შეფასების (GIA) სავალდებულოდ დაწესება²⁵/აღსრულებაზე და გენდერული ბიუჯეტირების ეფექტიან დანერგვაზე;
- მტკიცებულებებსა და ინფორმაციაზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების ხელშესაწყობად, ანალიზზე, მათ შორის გენდერული სტატისტიკის დანერგვაზე;
- გენდერული თანასწორობის შესახებ კანონმდებლობის განახლებაზე, 2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებასთან შესაბამისობაში მოსაყვანად, რათა მასში ასახოს არსებითი თანასწორობის უზრუნველყოფის პოზიტიური ვალდებულება;
- საკანონმდებლო-პოლიტიკური ჩარჩოს შექმნაზე ლგბტქი+ პირების ძალადობისგან დასაცავად;
- ინკლუზიურ პროცესზე, რათა სახელმწიფომ უზრუნველყოს სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა კონვენციის განხორციელების მექანიზმებში, მათ შორის - კოორდინაციაში, კონსულტაციებში და ანგარიშგების პროცესში.

ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო და ინსტიტუციური მექანიზმები

გენდერული თანასწორობის, გენდერული ნიშნით და ქალთა მიმართ ძალადობისგან დაცვის ძირითად გარანტიებს ადგენს: საქართველოს კონსტიტუცია, გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონი, სისხლის სამართლის კოდექსი, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონი.

საქართველოს კონსტიტუცია²⁶ - 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, საქართველოს კონსტიტუციაში აისახა არსებითი თანასწორობის იდეა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს კაცებისა და ქალებისთვის; ასევე იღებს

²⁵ 2022 წლის ბოლოს განხორციელებული ცვლებებით, აისახა საქართველოს კანონმდებლობაში (ნორმატიული აქტების შესახებ კანონში).

²⁶ დოკუმენტი ხელმისაწვდომია საკანონმდებლო მაცნეს [ვებგვერდზე](#).

განსაკუთრებულ ზომებს კაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.²⁷

გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი²⁸ - თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების დეტალიზაცია ხდება გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონში, რომლის მიზანია: უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სათანადო პირობების შექმნა თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის, ხელი შეუწყოს დისკრიმინაციის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას.²⁹ კანონის თანახმად განსაზღვრულია ისეთი საკითხები, როგორცაა: გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის გარანტიები საოჯახო ურთიერთობების, განათლებისა და მეცნიერების სფეროში. ასევე შრომითი ურთიერთობების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მიმართულებით, საქონლის ან მომსახურების მიწოდებისას და ხელმისაწვდომობის სფეროებში. კანონით განსაზღვრულია გენდერული თანასწორობის დაცვაზე ზედამხედველობის ეროვნული, მუნიციპალური და რეგიონული ინსტიტუციები. კერძოდ:

- საქართველოს პარლამენტი, რომელიც გენდერულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს, ქმნის გენდერული თანასწორობის საკანონმდებლო ბაზას და უზრუნველყოფს მის განვითარებას. პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობის კონტროლს. პარლამენტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად შექმნილია გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო.
- საქართველოს მთავრობა, რომელიც გენდერულ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნის გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიას.³⁰

²⁷ საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი.

²⁸ დოკუმენტი ხელმისაწვდომია საკანონმდებლო მაცნეს [ვებგვერდზე](#).

²⁹ იქვე, კანონის მუხლი 1.

³⁰ საქართველოს მთავრობის დადგენილების (#286,12/06/2017) მიხედვით, კომისიის შემადგენლობაში შედიან აღმასრულებელი ხელისუფლების, მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლები. ხოლო სათათბილო ხმის უფლებით, კონკრეტულ შეთხვევებში საქართველოს სახალხო დამცველი ან მისი მოადგილე, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ან საბჭოს წევრი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე, სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახურის უფროსი ან მისი მოადგილე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

- ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოები, რომელთა ვალდებულებას წარმოადგენს საქართველოსა და ა/რ კანონმდებლობების თანახმად ისეთი ღონისძიების შემუშავება და განხორციელება, რომელიც დაკავშირებულია დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრისაკენ. ადგილზე, წარმომადგენლობით ორგანოში, შექმნილია გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელიც გარდა იმისა, რომ განსაზღვრავს გენდერული თანასწორობის პოლიტიკას, კოორდინაციაშია პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საბჭოსთან.
- მუნიციპალიტეტების დონეზე, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გატერების მიზნით, წარმომადგენლობით ორგანოში - საკრებულოში იქმნება გენდერული თანასწორობის საბჭო. კანონის მიხედვით მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოში, მერიაში განსაზღვრულია გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე, რომლის ვალდებულებაც მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლა, საქმიანობის დაგეგმვა და შესაბამისი ღონისძიებების კოორდინაციაა.

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონი³¹ - კანონი მიზნად ისახავს დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის აღმოფხვრას და უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფას ყველასთვის, ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

გენდერული თანასწორობის შესახებ, აგრეთვე დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონებით დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას საქართველოს სახალხო დამცველი ახდენს (განიხილავს საჩივრებს, იღებს რეკომენდაციებს, გამოსცემს სპეციალურ ანგარიშებს და შეიმუშავებს მოსაზრებებს საკანონმდებლო წინადადების სახით საქართველოს პარლამენტისათვის მიმართვისათვის).

გენდერული და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების

³¹ დოკუმენტი ხელმისაწვდომია საკანონმდებლო მაცნეს [ვებგვერდზე](#).

შესახებ³² და სისხლის სამართლის კოდექსი³³, რომლებიც ადგენენ დანაშაულის შემადგენლობას და ძალადობისათვის დამახასიათებელ ქმედებათა ერთობლიობას, ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს. კერძოდ:

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონი განსაზღვრავს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალთა მიმართ ძალადობისათვის ან/და ოჯახში ძალადობისათვის დამახასიათებელ ქმედებათა ერთობლიობას, ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, აგრეთვე მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვისა და დახმარების გარანტიებს.

ხოლო სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს გენდერული ნიშნით, ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის (სექსუალური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური) ქმედებათა დანაშაულებრივ შემადგენლობას და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებებს.

არსებული გამოწვევები

ბოლო წლებში არაერთი დადებითი ცვლილება განხორციელდა ორივე აქტში, თუმცა როგორც სისხლის სამართლის კოდექსში, ასევე ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონში კვლავ არის ნორმები, რომლებიც საჭიროებს ცვლილებებს. მაგალითად:

სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებების მიუხედავად (2017, 2020 წლები), საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიერ რეგულირებული გაუპატიურების ნორმა კვლავ არ შეესაბამება საერთაშორისო დოკუმენტებით განსაზღვრულ სტანდარტს, მათ შორის, სტამბოლის კონვენციას (პარლამენტმა ნორმის ცვლილებას მხარი არც 2022 წელს დაუჭირა). შედეგად, სექსუალური ძალადობის დეფინიცია კვლავ არ ეფუძნება მსხვერპლის თავისუფალი და ნებაყოფლობითი თანხმობის არარსებობას და არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს.³⁴

³² დოკუმენტი ხელმისაწვდომია საკანონმდებლო მაცნეს [ვებგვერდზე](#).

³³ დოკუმენტი ხელმისაწვდომია საკანონმდებლო მაცნეს [ვებგვერდზე](#).

³⁴ გენდერული თანასწორობა საქართველოში-ბარიერები და რეკომენდაციები, 2021. დოკუმენტი ხელმისაწვდომია გაეროს განვითარების პროგრამის [ვებ-გვერდზე](#).

დადებითად უნდა შეფასდეს 2020 წლის საკანონმდებლო ცვლილებები ქალთა მიმართ ძალადობის მიმართულებით (საქართველოს კანონმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის დაწესება და პრაქტიკაში აღსრულება მოიცვა, ასევე დაუშვა, შემაკავებელი ორდერის გამოცემასთან ერთად, მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების შესაძლებლობა ისეთ შემთხვევაში, თუ აშკარაა ძალადობის განმეორების რეალური საფრთხე),³⁵ თუმცა ოჯახის წევრების ფართო სპექტრის³⁶ მიუხედავად, ის კვლავ არ ითვალისწინებს „ინტიმურ პარტნიორს.“³⁷

საზოგადოებაში კვლავაც მძლავრია (მათ შორის საჯარო პირებში, სამართალდამცავი ორგანოებისა და მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლებში)³⁸ არსებული დამოკიდებულებები და სტერეოტიპები, რომლებიც ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ქალთა უფლებების/გენდერული თანასწორობის პრინციპების რეალიზებისას, გამოწვევაა ქალებისა და მათი ახლობლებისათვის სახელმწიფო უწყებების მიმართ ნდობა. ეს კი უარყოფით გავლენას ახდენს კანონმდებლობის ეფექტიან აღსრულებაზე. მზარდია ფემიციდის სტატისტიკა.

საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიშის მიხედვით:

„წლების განმავლობაში ნარჩუნდება გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების (ფემიციდის) კუთხით არსებული გამოწვევები. ქალთა მკვლელობებისა და მკვლელობის მცდელობების შემთხვევების კლების ტენდენცია კვლავ არ შეინიშნება. სამწუხაროდ, 2021 წელთან შედარებით, 2022 წელს გაზრდილია ქალთა მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის შემთხვევები. კერძოდ, 2022 წელს 25 ქალის მკვლელობისა და 37 ქალის მკვლელობის მცდელობის შემთხვევა გამოვლინდა.“³⁹

³⁵ იქვე.

³⁶ საქართველოს კანონი მუხლი 4 (ზ).

³⁷ დეტალურად წარმოდგენილია წინამდებარე კვლევის შესაბამის თავში.

³⁸ სასამართლოს კარს მიღმა: მოსამართლეებისა და თანამემწეების შეხედულებები სასამართლოს საგანმანათლებლო და პრაქტიკულ საჭიროებებზე, ღია სივრცე კავკასია, 2021. ხელმისაწვდომია ორგანიზაციის [ვებგვერდზე](#).

³⁹ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022 წელი, დოკუმენტი ხელმისაწვდომია სახალხო დამცველის [ვებგვერდზე](#).

აღნიშნული კი სახელმწიფოს მხრიდან პრევენციული პოლიტიკის სისუსტესა და განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებზე არაეფექტიან რეაგირებაზე (აღსრულების პრობლემებზე) მიანიშნებს.

2022 წელს საქართველოს მიეცა შესაძლებლობა განაცხადი შეეტანა ევროკავშირის წევრობის მისაღებად.⁴⁰ პასუხად, ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს ევროპული პერსპექტივა მიენიჭა და განესაზღვრა შესაბამისი პრიორიტეტები, რომელთა შესრულების შემთხვევაშიც შესაძლებელია საქართველომ მიიღოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი.

ევროკომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოიცავს რეკომენდაციებს⁴¹, 12 მიმართულებით. წარმოდგენილ რეკომენდაციებში ერთ–ერთი საკითხი (მე-9) გენდერულ თანასწორობას შეეხება, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველომ უნდა:

„გაზარდოს ძალისხმევა გენდერული თანასწორობის გაძლიერებისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით“.

საქართველო საკანონმდებლო ჩარჩოს მოწესრიგებით ცდილობს შეასრულოს საერთაშორისო და ეროვნული ინსტრუმენტებით ნაკისრი ვალდებულებები, ჰარმონიზაციაში მოიყვანოს გენდერისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ არსებულ საერთაშორისო სტანდარტებთან, მით უფრო ევროკავშირის მიერ კანდიდატის სტატუსის მისაღებად შემუშავებული პრიორიტეტების შესაბამისად. თუმცა არსებითია სიღრმისეულად განაალიზდეს ამ საკითხის მნიშვნელობა და გადაწყვეტილებები, რომლებიც მიიღება ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებით არ წარმოადგენდეს ფორმალურ პოლიტიკურ დოკუმენტებსა თუ სამართლებრივ აქტებს, ორიენტირებული იყოს აღსრულების ეფექტურ მექანიზმებზე და ემყარებოდეს საჭიროებების/გამოწვევების კვლევა/ანალიზს.

პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს უმნიშვნელოვანესია გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა გაითვალისწინონ მტკიცებულების როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მისი ადგილი პოლიტიკის შემუშავებისას. აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანია ფაქტები, რომელსაც ეყრდნობა ესა თუ ის გადაწყვეტილება. ფაქტებისა და მტკიცებულებების გამოსაკვლევად და იმის დასადგენად რამდენად სწორადაა შერჩეული პოლიტიკური გადაწყვეტილება ან/და რამდენად შეესაბამება ფაქტი რეალობას,

⁴⁰ საქართველოს მოსახლეობის 73%-ს სურს ქვეყნის ევროინტეგრაცია (2023 წლის 23 მარტის საზოგადოებრივი აზრის კვლევა, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი, ხელმისაწვდომია [ვებგვერდზე](#)).

⁴¹ European Commission Opinion on Georgia’s application for membership of the European Union, მიღებული 2022 წლის 16 ივნისს, ხელმისაწვდომია [ვებგვერდზე](#).

აუცილებლობას წარმოადგენს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს გადაწყვეტილებების მიმღები პირები დაეყრდნონ კვლევაზე დაფუძნებულ მიდგომას.⁴²

აღნიშნულიდან გამომდინარე ისეთ პრობლემასთან ბრძოლა როგორცაა გენდერული და ქალთა მიმართ ძალადობა მოითხოვს უფრო სიღრმისეულ შესწავლას, კვლევაზე დაფუძნებული მიდგომებისა და სათანადო მექანიზმების შემუშავებას სახელმწიფო დონეზე.

ევროკავშირის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმიდან⁴³ გამომდინარე, ყურადღება გამახვილდა ინტერსექციულ მოწყვლადობაზე, რომელიც მოიცავს სოციალურად დაუცველ, დევნილ, ეკომიგრანტ, მიგრანტ, შშმ ქალებს, სექს-მუშაკებს, ლესბოსელ, ტრანსგენდერ, ბისექსუალ, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს, ასევე ასაკობრივად წარმოდგენილ ჯგუფებს - ახალგაზრდა გოგოებს, 65+ ასაკისა და საშუალო ასაკის ქალებს.

საუკეთესო საერთაშორისო კარგი პრაქტიკა

როგორც აღინიშნა, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, განვიხილავთ ქვეყნებს, რომლებსაც გენდერული თანასწორობის ინდექსის მიხედვით, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის საუკეთესო შედეგი აქვთ ოჯახში ძალადობის პრევენციის, ფაქტების შემცირების, ან ეფექტური ჩარევის/კანონმდებლობის აღსრულების მხრივ (ესპანეთი, შვედეთი, დანია, ნიდერლანდები, საფრანგეთი, ფინეთი, ირლანდია და ბელგია).

კარგი პრაქტიკის განხილვა მოხდა ოთხი ძირითადი მიმართულებით:

#1. ფემიციდი და #2. გაუპატიურება - როგორც ცალკე მდგომი, სისხლის სამართლის დანაშაულის ფორმები და მათი ცნებების/განმარტებების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან. აგრეთვე სახელმწიფოების მიდგომები ძალადობის წინარე ისტორიის შესწავლასა და ინფორმაციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზის საფუძველზე კომპლექსური მიდგომების დანერგვის კუთხით.

#3. ინტიმური პარტნიორის მიერ ძალადობა და #4. ადევნება - რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ ევროპული გამოცდილებით ცალკე მდგომ სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნევა, სტატისტიკურად, ძირითად შემთხვევებში წარმოადგენენ ფემიციდისა და გაუპატიურების წინარე ქმედებებს, რაც მათი

⁴² Evidence for Policy-Making: Foresight-Based Scientific Advice, European Parliament Research Service, 2021, ხელმისაწვდომია ევროპარლამენტის [ვებგვერდზე](#).

⁴³ Gender Equality Strategy 2020-2025.

განხილვის მნიშვნელობას სძენს არა მხოლოდ რეაგირების, არამედ პრევენციული კუთხითაც.

ამავდროულად, ადევნების განმარტება (რომელიც მათ შორის, ციფრულ სივრცეში ადევნება-თვალთვალს მოიცავს), განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განხილულ იქნას საქართველოს კონტექსტიდან გამომდინარე. გენდერული ძალადობის წინარე შემთხვევების/ტენდენციების მიმოხილვამ აჩვენა, რომ საქართველოში არსებითი გამოწვევაა ახალგაზრდა გოგოების მიმართ ადევნება/თვალთვალის ციფრულ სივრცეში. რაც უახლოესი გამოცდილებით, რამდენიმე შემთხვევაში გარდაცვალებით ან სხვა მძიმე შედეგით დასრულდა.

წარმოდგენილ მიმართულებებში ყურადღება გამახვილდა შემდეგ საკითხებზე:

1. **ტერმინოლოგია და იდენტიფიცირება** - ევროპის სახელმწიფოების წინარე სამაგიდე მიმოხილვა მოიცავს ფემიციდისა და გენდერული ძალადობის დეფინიციის მნიშვნელობას და მის შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან. იდენტიფიცირების თანმდევი კომპონენტია გენდერული სტატისტიკა, რომელიც მოიცავს მრავალფაქტორულ ინდიკატორებს, რაც არსებითია პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში;
2. **სახელმწიფო პოლიტიკა გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების მიმართ** - თითოეული მიმართულებით, განხილულია შერჩეული სახელმწიფოების საერთო პოლიტიკა ჩამოთვლილი გენდერული დანაშაულის მიმართ. განხილული შემთხვევების საერთო ნიშანია სახელმწიფოების დინამიური მიდგომა გენდერული ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირებაში (მონიტორინგი, შეფასება, ადაპტაცია);
3. **ცნობიერების ამაღლების კამპანიის/განათლების პროგრამების გამოცდილება** - განხილულ ქვეყნებს აქვთ ჰოლისტური მიდგომა. გენდერული კომპეტენციის შესახებ სწავლება ინტეგრირებულია სასკოლო, საუნივერსიტეტო და პროფესიული განათლების დონეებზე.

განხილული შემთხვევების საერთო ნიშანია გენდერული დანაშაულის დეტალური ე.წ. „მონაცემთა არქიტექტურა“, რომელიც თავის მხრივ, იძლევა შესაძლებლობას მოხდეს არა მხოლოდ ძალადობის რისკის ადრეული იდენტიფიცირება, არამედ ასევე ცნობიერების კამპანიის დაგეგმვა ფართო მოსახლეობაში. განხილული შემთხვევების კიდევ ერთი საერთო ნიშანია მსხვერპლის ფართო განმარტება, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ უშუალოდ გენდერული ძალადობის პირდაპირ მსხვერპლს, არამედ მისი ოჯახის წევრებსაც (მათ შორის, შვილებს, მშობლებს და სხვა).

თითოეულ განხილულ შემთხვევაში ძირეული, გამაერთიანებელი მიდგომა გულისხმობს გენდერული ძალადობის განმარტებას ერთი მხრივ ადამიანის უფლებათა დაცვის, ხოლო მეორე მხრივ ფემინისტური ჩარჩო მიდგომებიდან გამომდინარე, რაც მოიცავს საზოგადოებაში არსებული სისტემური

უთანასწორობის იდენტიფიცირებას, როგორც ძალადობის წინაპირობას, რომელიც აისახება დამოკიდებულებებსა და მიდგომებში (რაც გადაიცემა ჩვევით თაობათა შორის). სწორედ ამიტომ გენდერულ ძალადობასთან მიდგომა ჰოლისტიურია, გულისხმობს მთლიანი საზოგადოების პასუხისმგებლობას და ყურადღებას ამახვილებს პატრიარქალურ საზოგადოებაში მსხვერპლის მიმართ ნდობის გამოჩენასა და მხარდაჭერის მნიშვნელობაზე.

ფემიციდი

ტერმინი ფემიციდი⁴⁴ მოიცავს „ქალებისა და გოგონების მკვლელობას მათი სქესის გამო“.⁴⁵ მისი მიზანია ცალკე გამოვკვეთოთ მკვლელობები ან მკვლელობების მცდელობები, რომლებშიც იკვეთება გენდერული ნიშანი და გავლენას ახდენს ქალებზე მათი სქესის გამო. აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ტერმინი ფემიციდის გამოყენება და მისი რეგულირება არა მხოლოდ ამ დანაშაულის სპეციფიკური დინამიკის ამოცნობის საშუალებას იძლევა, არამედ შესაბამის ორგანოებს საშუალებას აძლევს გაზარდონ მათი ხილვადობა და შეაგროვონ დანაშაულის ადეკვატური მონაცემები,⁴⁶ ხოლო საზოგადოებას და დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს ნათლად დაინახოს ამ პრობლემის არსი.⁴⁷

ფემიციდი, გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობა, როგორც დამოუკიდებელი დანაშაული, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის. თუმცა სისხლის სამართლის კოდექსში სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული ცალკეული სისხლის სამართლის დანაშაულების მაკვალიფიცირებელ გარემოებად განსაზღვრულია გენდერული

⁴⁴ აღნიშნული ტერმინი სამართლებრივი ფორმით მხოლოდ მალტას და კვიპროსის სახელმწიფოებს აქვთ გამოყენებული მათსავე სისხლის სამართლის კოდექსებში (დღეის მდგომარეობით მხოლოდ ამ ორ ქვეყანას აქვს კრიმილაზირებული ფემიციდი როგორც განცალკევებული დანაშაული). University of Malta Department of Gender and Sexualities and Women's Rights Foundation, FEM-United to Prevent IPV/DV Femicide in Europe. ანგარიში ხელმისაწვდომია ორგანიზაციის [ვებგვერდზე](#).

⁴⁵ ტერმინთა განმარტება: European Institute for Gender Equality (EIGE), ხელმისაწვდომია ორგანიზაციის [ვებგვერდზე](#).

⁴⁶ The Legislative Frameworks for Victims of Gender-Based Violence (including children) in the 27 Member States, Policy Department for Citizens' Rights and Constitutional Affairs Directorate-General for Internal Policies, 2022. ხელმისაწვდომია ევროპარლამენტის [ვებგვერდზე](#).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით⁶⁹, ადევნება⁷⁰, განიმარტება როგორც პირადად ან მესამე პირის მეშვეობით პირის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის უკანონო თვალთვალი, ან არასასურველი კომუნიკაციის დამყარება ტელეფონის, ელექტრონული ან სხვა საშუალებით, ან ნებისმიერი სხვა განზრახი ქმედება, რომელიც სისტემატურად ხორციელდება და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას, ან/და პირის, ან მისი ოჯახის წევრის, ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების, ან/და ქონების განადგურების საფუძვლიან შიშს, რაც პირს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლას აიძულებს, ან მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას უქმნის.

საქართველოში ამ დანაშაულის მზარდი სტატისტიკა გვაქვს⁷¹, (მაგალითად 2022 წლის მონაცემებით 112 ადევნების შემთხვევა დაფიქსირდა წლის განმავლობაში, რაზეც სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო. 2023 წლის სამი თვის (იანვარი, თებერვალი, მარტი) მონაცემით 25 ასეთი შემთხვევა).

საქართველოს კანონის ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ მე-10 მუხლი⁷² სასამართლოსა და სამართალდამცავ ორგანოებს ანიჭებს უფლებას გამოიყენონ დამცავი და შემაკავებელი ორდერები, როგორც დროებითი ღონისძიება, რომელიც ხელს შეუწყობს მსხვერპლის დაცვას, რათა არ მოხდეს მისი ხელახალი ვიქტიმიზაცია.

კარგი პრაქტიკის კვლევის ფარგლებში, ამ შემთხვევაშიც მკვლევართა ინტერესი სახელმწიფოს მხრიდან კომპლექსური პოლიტიკის გატარების

⁶⁸ ტერმინის წარმოიშვა ინგლისურენოვანი სივრციდან და მომდინარეობს სიტყვიდან -Stalking, რაც ჩასაფრებას ნიშნავს, მოგვიანებით გახდა დანაშაულის აღმნიშვნელი ტერმინი. სტამბოლის კონვენციის 34-ე მუხლი ადევნებას ქალთა მიმართ ძალადობის ფორმად აცხადებს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი გენდერული ნიშნით მოტივირებული დანაშაულია.

⁶⁹ სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 151 პრიმა, ხელმისაწვდომია საქართველოს მაცნეს [ვებგვერდზე](#).

⁷⁰ ადევნება, როგორც სისხლისსამართლებრივი დანაშაული საქართველოს კანონმდებლობაში 2017 წელს აისახა, რისი საფუძველიც იყო ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს (სტამბოლის) კონვენციის რატიფიცირება.

⁷¹ საქსტატი, ინფორმაცია ხელმისაწვდომია [ვებგვერდზე](#).

⁷² კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ ხელმისაწვდომია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს [ვებგვერდზე](#).

დაკვირვება/შესწავლა იყო სამიზნე, რა დროსაც გარდა საკანონდებლო რეგულაციების განსაზღვრისა, იგეგმება მულტისექტორული კამპანიები ცნობიერების ასამაღლებად და შესაბამისი უწყებების წარმომადგენლეთა ცოდნის/დამოკიდებულებების შესაცვლელად.

განმარტება და სახელმწიფოს პოლიტიკა

- **შვედეთი:** თვალთვალი იგივე „სტალკინგი“ შვედეთში ითვლება დანაშაულებრივ ქმედებად, რომელსაც იმეორებს ერთი და იგივე დამნაშავე ერთი და იმავე მსხვერპლის მიმართ. დანაშაული მიზნად შეიძლება ისახავდეს: თავდასხმას და ფიზიკური ზიანის მიყენებას, მუქარას, იძულებას, ხელყოფას, სექსუალურ შევიწროებას, ზიანის მიყენების განზრახვას;
- **ნიდერლანდები:** სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ის, ვინც უკანონოდ და სისტემატურად არღვევს სხვის პირად სფეროს, რათა აიძულოს ის რაღაცის გაკეთებაზე ან აშინებს სხვას, დამნაშავეა თვალთვალისათვის და ისჯება თავისუფლების აღკვეთით მაქსიმუმ სამი წლით. სასამართლოს შეუძლია დააწესოს კონტაქტის აკრძალვა, რაც გულისხმობს, რომ დამნაშავეს აღარ ექნება უფლება დაუკავშირდეს მსხვერპლს (არა პირადად, წერილობით, ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან კომუნიკაციის სხვა ფორმით). ასევე შესაძლებელია ერთდროულად დაწესდეს, ტერიტორიის ნიშნით შემაკავებელი ორდერი, რაც კრძალავს დამნაშავეს იმ ქუჩაში შესვლის უფლებას, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს ან იმყოფება. პრაქტიკაში ხშირად ამკრძალავი ორდერები იქმნება ისე, რომ უზრუნველყოს მსხვერპლის მაქსიმალური უსაფრთხოება მისი ყოველდღიური საქმიანობის დროს.
- **ბელგია:** ბელგიის სისხლის სამართლის კოდექსით, ადევნება არის ადამიანის განმეორებით დევნა, ყურება ან შევიწროება ისე, რომ ის ადამიანი, რომლის მიმართაც ღორციელდება ქმედება ამას აღიქვამს შემაშფოთებლად ან მტანჯველად.

სახელმწიფოს პოლიტიკა ცნობიერების ამაღლებასა და საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში

- **შვედეთი:** შვედეთმა ჩამოაყალიბა დამხმარე სერვისები და დახმარების ცხელი ხაზი თვალთვალის მსხვერპლთა დასახმარებლად. ისეთი ორგანიზაციები, როგორცაა Kvinnofridslinjen (ქალთა ეროვნული

დახმარების ხაზი) და Stalking Support Centers უზრუნველყოფენ მხარდაჭერას, რჩევებსა და ინფორმაციას, რათა დაეხმარონ მსხვერპლს სიტუაციის გარკვევასა და საჭირო სერვისებზე წვდომაში.

საინტერესოა სახელმწიფოს მიერ წარმოებული კამპანიები⁷³, მაგ: **შვედეთის პოლიციის უწყების კამპანია „ადევნება შეიძლება ნებისმიერს დაემართოს“**, რომელიც პოლიციის ადმინისტრაციამ თვალთვალის და მსხვერპლზე მისი გავლენის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით დაიწყო, მიზნად ისახავდა საზოგადოების ინფორმირებას თვალთვალის ნიშნების შესახებ და მოუწოდებდა ინდივიდებს, შეატყობინებინათ პოლიციისათვის ეჭვი ან შემფოთება. მოცემული იყო ინფორმაცია მსხვერპლთათვის ხელმისაწვდომი დახმარების სერვისებისა და რესურსების შესახებ.

შვედეთის დანაშაულის მსხვერპლთა კომპენსაციისა და მხარდაჭერის ორგანოს კამპანია "No More Stalking" მიზნად ისახავდა ცნობიერების ამაღლებას თვალთვალის, მისი შედეგებისა და მსხვერპლთა უფლებების შესახებ. მან მიაწოდა ინფორმაცია მსხვერპლთათვის ხელმისაწვდომი დახმარების სერვისებისა და არსებული რესურსების შესახებ. აგრეთვე ხაზი გაუსვა თვალთვალის წინააღმდეგ ზომების მიღების მნიშვნელობას;

- **ბელგია:** ბელგიამ ჩამოაყალიბა დამხმარე სერვისები და დახმარების ხაზები თვალთვალის მსხვერპლთა დასახმარებლად. ორგანიზაციები, როგორცაა მსხვერპლთა მხარდაჭერის სამსახური (CAW) და ქალთა და კაცთა თანასწორობის ინსტიტუტი, უზრუნველყოფენ მხარდაჭერას, კონსულტაციას და ინფორმაციას, რათა დაეხმარონ მსხვერპლს სიტუაციის გარკვევასა და საჭირო სერვისებზე წვდომაში. საინტერესოა კომპლექსური კამპანიები, რომლებიც მიმართულია ცნობიერების ამაღლებაზე, ქმედების ნიშნებისა და არსებული სერვისების თაობაზე. მაგ: **ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის ინსტიტუტის კამპანია „შეაჩერე თვალთვალი“**, რომელიც მიზნად ისახავს თვალთვალის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და საზოგადოების განათლებას ამ ქცევის ნიშნებისა და შედეგების შესახებ.

⁷³ სახელმწიფო კამპანიებთან ერთად გამორჩეულია სხვადასხვა ორგანიზაციების ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები. მაგ: ქალთა და გოგონათა თავშესაფრების ეროვნული ასოციაციის კამპანია „შეაჩერე თვალთვალი“ „Stop Stalking“. ინიციატივა მიზნად ისახავდა თვალთვალის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და მსხვერპლთათვის ხელმისაწვდომი დახმარების სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. რა დროსაც ხაზგასმით აღინიშნა თვალთვალის ქცევების ამოცნობის, მათი სერიოზულად აღქმისა და დაზარალებულთათვის დახმარების გაწევის მნიშვნელობა.

ასევე, საზოგადოების ინფორმირებულობას მსხვერპლთათვის ხელმისაწვდომი დახმარების სერვისების შესახებ. ხაზგასმას ამ დანაშაულის სერიოზულად აღქმის თაობაზე.

მსხვერპლთა მხარდაჭერის სამსახურის (CAW) „ილაპარაკე თვალთვალის წინააღმდეგ“ კამპანიის მიზანია თვალთვალის მსხვერპლებს მიეღოთ უფლება, ესაუბრათ, ეძიათ დახმარება და გაეკეთებინათ შეტყობინებები ინციდენტების შესახებ. გამოკვეთილი იყო თვალთვალის ქცევის აღიარების მნიშვნელობა და არსებული დამხმარე სერვისებისა და სამართლებრივი დახმარების შესახებ ინფორმაცია;

იუსტიციის ფედერალური საჯარო სამსახურის კამპანია "დუმილი არ არის თანხმობა" ეხებოდა გენდერული ძალადობის სხვადასხვა ფორმას, მათ შორის თვალთვალს. ეს კამპანია მიზნად ისახავდა საზოგადოების დამოკიდებულებას, რომელიც მოითმენს ან ამცირებს ქალთა მიმართ ძალადობას და ხაზს უსვამდა ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ გამოსვლის მნიშვნელობას.

კვლევის ფარგლებში გაანალიზებული კარგი პრაქტიკის, საქართველოში არსებული გამოწვევების შესწავლის საფუძველზე ჩამოყალიბდა ძირითადი მიგნებები, რომლებიც შეეხება საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწას, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შემუშავებისას მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომის დამკვიდრებას და აღსრულების ეფექტიანობას. ესენია:

სახელმწიფოს კომპლექსური მიდგომა გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების პრევენციისა და მასზე რეაგირების კუთხით (სახელმწიფო პოლიტიკა)

- განხილულ სახელმწიფოებს აქვთ მრავალდონიანი და მულტისექტორული მიდგომა, მათ შორის შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენელთა კომპლექსური ჩართულობის მხრივ - განხილული კარგი პრაქტიკის მაგალითები გვიჩვენებს, რომ ოჯახში და გენდერული ნიშნით ძალადობის პოლიტიკური და პროგრამული ჩარევა განსაკუთრებით ეფექტური და შედეგზე ორიენტირებულია, თუ ის მოიცავს სახელმწიფოს სხვადასხვა რგოლს განათლებით, სერვისის მიწოდებით დაწყებული და უფლებების დაცვის, დარღვეული უფლების აღდგენით დასრულებული. პოლიტიკური/პროგრამული ჩარევები არსებულ მდგომარეობას და საქმიანობის განხორციელებისას გამოკვეთილ პრობლემებს ეფუძნება, განსაკუთრებით კი შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მხრიდან (ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე, მათ შორის ჯანდაცვა, განათლება, მართლმსაჯულება და ა.შ.);
- სახელმწიფოები ზრუნავენ ინფორმაციის თანაბარი ხელმისაწვდომობისა და ინტერსექციულად მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერისათვის, მათ შორის კულტურულ მგრძობელობასა და მისადაგებაზე - განხილული კარგი პრაქტიკის მაგალითები აჩვენებს, რომ ინტერსექციულად მოწყვლადი ჯგუფებისთვის განსაკუთრებით პრობლემურია ხელმისაწვდომობა სხვადასხვა სერვისზე (განსაკუთრებით მართლმსაჯულებაზე), რაც აღრმავებს გამოწვევებს და ამწვავებს იმ სისტემურ ბარიერებს, რომელსაც მსხვერპლი აწყდება დაცვაზე ხელმისაწვდომობის მცდელობისას. ამ მიმართულებით, საყურადღებოა დანიის გამოცდილება, სადაც შემუშავდა ცნობიერების ამაღლების კამპანია 10-მდე სხვადასხვა ენაზე (აღნიშნულმა დაუზოგა ეთნიკური უმცირესობების მედია ორგანიზაციების თარგმანის ხარჯები). ამავდროულად, განხილული კარგი პრაქტიკის მაგალითებში ხაზგასმულია სპეციფიურ კულტურაზე დაცვის სისტემების მორგება;

- სახელმწიფოებს აქვთ კომპლექსური და განგრძობითი პოლიტიკა გენდერული დანაშაულების მიმართ - თითოეული მიმართულებით, განხილულია შერჩეული სახელმწიფოების საერთო პოლიტიკა ჩამოთვლილი გენდერული დანაშაულის მიმართ. აღსანიშნავია, რომ განხილული შემთხვევების საერთო ნიშანია სახელმწიფოების დინამიური მიდგომა გენდერული ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების კუთხით. განხილული შემთხვევის უმრავლესობაში არსებობს მუდმივი მონიტორინგის პროცესი, რომელიც აფასებს არსებული მექანიზმების ეფექტურობას და ახდენს მათ მუდმივ ადაპტაციას. ამავდროულად, შემთხვევები ციკლური ბუნებისაა და სრულყოფილად მოიცავს ძალადობის მთლიან ციკლს: მაღალი რისკის შემთხვევების ადრეული იდენტიფიცირება, პრევენცია, რეაგირება და მსხვერპლის გრძელვადიანი მხარდაჭერა/რეაბილიტაცია/გამლიერება. შესაბამისად, განხილული შემთხვევები მულტიდისციპლინურია და ეფუძნება სხვადასხვა უწყებას შორის მაღალი ხარისხის კოორდინაციასა და სინერგიას (მაგ: მართლმსაჯულების ორგანოები, მედია, ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების მიმწოდებელი ინსტიტუციები/ორგანიზაციები, და ა.შ.);
- სახელმწიფოების მიდგომა არის კვლევასა და საჭიროებებზე დაფუძნებული ცნობიერების ამაღლების კამპანიების/საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება - განხილული შემთხვევების უმრავლესობაში, ცნობიერების ამაღლების მიმართ მიდგომა არის ჰოლისტური და ის მოიცავს გენდერული კომპეტენციის შესახებ სწავლების ინტეგრირებას როგორც სასკოლო, ისე საუნივერსიტეტო და პროფესიული განათლების დონეებზე. სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის არსებობს განსხვავება მიდგომებს შორის: განხილული შემთხვევების ნაწილში, გენდერი გამოყოფილია როგორც ცალკე კომპეტენცია/საგანი სასწავლო კურიკულუმებში, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში (მაგ. ჰოლანდია), გენდერის კომპეტენცია ინტეგრირებულია თითქმის ყველა საგანსა თუ მიმართულებაში და მიდგომა სწავლების მიმართ ეფუძნება ე.წ. გენდერულად მგრძობიარე მიდგომას (Gender-Based Mainstreaming). თავის მხრივ ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიები ხორციელდება სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუციის მიერ (როგორცაა შინაგან საქმეთა სამინისტროები, იუსტიციის სამინისტროები, ჯანდაცვის სამინისტროები და სხვა). კამპანიების წარმოების პროცესში აქტიურადაა ჩართული არასამთავრობო/არაფორმალური სექტორებიც. ამავდროულად, განხილულ შემთხვევებში ასახულია ევროკავშირის გენდერული სტრატეგიის ერთ-ერთი ელემენტი: სქესთაშორისი ურთიერთობის ნორმების სწავლება სასკოლო სივრცეში;

- სახელმწიფოები უზრუნველყოფენ მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენელთა პროფესიულ გაძლიერებას - ესპანეთის მაგალითზე კარგად ჩანს გენდერული ძალადობის შესახებ სწავლების ინტეგრირების ღირებულება საგანმანათლებლო პროგრამებში მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლებისთვის. განხილულ მაგალითზე, ესპანეთში მოხდა სპეციალური კურსის ფორმირება სამაგისტრო დონეზე, მართლმსაჯულების მოქმედი პროფესიონალებისთვის (მოსამართლეები, პოლიცია, პროკურორები და ა.შ.) რომელიც ეფუძნებოდა ჰოლისტურ და მულტიდისციპლინურ მიდგომას (ფსიქოლოგია, სოციოლოგია, კრიმინალისტიკა, სამედიცინო, მედია, სოც. დახმარება და ა.შ.), მოიცავდა ისეთ საკითხებს როგორცაა ძალადობის წარმომავლობა და ტრანსგენერაციული გადაცემა, ენა, როგორც ძალადობის წახალისების წყარო, მსხვერპლის დეფინიცია, კანონი, რეაბილიტაცია, მოძალადის ფსიქოპორტრეტი, იმიგრაცია, ინტერსექციული მოწყვლადობა, რისკ-ფაქტორები და სხვა.

„გაუპატიურების“ ცნების სტამბოლის კონვენციის შესაბამისი განმარტება საკანონმდებლო დონეზე და „ინტიმური პარტნიორის“ განსაზღვრება

- განხილულ ქვეყნებში „გაუპატიურების“ ცნება სტამბოლის კონვენციასთან შესაბამისობაშია - ევროკავშირის წევრი განხილული სახელმწიფოების განმარტებები გაუპატიურების ცნებასთან დაკავშირებით მოიცავს მინიმუმ კომპონენტებს „თანხმობის არქონა“ და „სქესობრივი კავშირი“. მაგ: გაუპატიურებად ითვლება, როდესაც ვინმე თავდასხმით ან სხვაგვარად ძალადობით ან დანაშაულებრივი ქმედების მუქარით აიძულებს ადამიანს სქესობრივ კავშირს ან სექსუალური აქტის დამყარებას. ამასთან, გაუპატიურება შეიძლება მოხდეს, როდესაც პირი არ არის ძალადობის მსხვერპლი, მაგრამ მოძალადემ გამოიყენა ის ფაქტი, რომ მას არ შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა ან იმყოფება უგონო მდგომარეობაში, მაგალითად: ძილის, ინტოქსიკაციის ან ნარკოტიკების, ავადმყოფობის, სხეულის სხვა დაზიანების ან გონებრივი დაქვეითების დროს;
- საკანონმდებლო დონეზე დარეგულირებულია „ინტიმური პარტნიორის“ განმარტება - ინტიმური პარტნიორის მიერ ძალადობა შესაძლოა მოხდეს როგორც ქორწინებაში მყოფ პირებს, ასევე ფაქტობრივ თანაცხოვრებას ან/და თანაცხოვრებაში არმყოფ პარტნიორულ ურთიერთობებში მყოფ პირთა შორის. ამგვარად ინტიმური პარტნიორის მიერ ჩადენილი ძალადობა არის:

ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ძალადობის ნებისმიერი აქტი, რომელიც ხდება ყოფილ/ამჟამინდელ მეუღლეებში ან პარტნიორებში, მიუხედავად იმისა დამნაშავე იზიარებს თუ არ იზიარებს საცხოვრებელ ადგილს მსხვერპლთან ერთად (ეწევა საოჯახო მეურნეობას).

გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების „მონაცემთა არქიტექტურა“

გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების „მონაცემთა არქიტექტურა“ მრავალკომპონენტური სტრუქტურაა და მოიცავს:

- ტერმინოლოგია მკაფიო და მისი შემადგენლობა განჭვრეტადია - ევროპის სახელმწიფოების წინარე სამაგიდე მიმოხილვა ფემიციდისა და გენდერული ძალადობის მიმართულებით მიუთითებს დეფინიციის მნიშვნელობაზე, რომელიც უნდა განსაზღვრავდეს ქმედების მკაფიო შემადგენლობას, რათა როგორც პრევენციულ პროგრამებში, ისე მართლმსაჯულების პროცესში და მსხვერპლის მხარდამჭერი პროგრამების მიწოდებისას მაქსიმალურად გამოირიცხოს არაერთგვაროვანი მიდგომა. ფემიციდის, გაუპატიურების, ინტიმური პარტნიორის ძალადობისა და ადევნების მიმართულებით, ევროპის სახელმწიფოებს მცირედით განსხვავებული დეფინიცია, თუმცა საერთო მიდგომა და სტანდარტი ახასიათებთ, რომელიც ძირითადად ვლინდება ტერმინის განჭვრეტად ბუნებაში. იდენტიფიცირების თანმდევი კომპონენტია გენდერული სტატისტიკა, რომელიც მოიცავს მრავალფაქტორულ ინდიკატორებს, რაც არსებითად მნიშვნელოვანია პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელებისას, და რიგი სახელმწიფოების მაგალითზე, იძლევა შესაძლებლობას მოხდეს მაღალი რისკის შემთხვევების იდენტიფიცირება იქამდე, სანამ დანაშაულის ფაქტობრივი ჩადენა მოხდება. აღნიშნული რისკ-ფაქტორების ინდიკატორების ერთობლიობა „მონაცემთა არქიტექტურის“ ნაწილად მიიჩნევა (წარმოადგენს მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების კონცეფციას, გენდერული ძალადობის პრევენციული ღონისძიებების დასაგეგმად);
- ფემიციდის რისკ-ფაქტორების მონიტორინგი პერმანენტულია ფემიციდის სპეციფიური ტიპოლოგიის მიხედვით. ხდება ძალადობის წინარე ისტორიის შესწავლა/ანალიზი და პრევენციული ზომების შემუშავება - განხილული საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითებზე კარგად ჩანს, რომ ყველა განხილულ შემთხვევაში სახელმწიფო არ „ელოდება“ ფემიციდს ან ძალადობის ფაქტის დადგომას და აქტიურად მუშაობს გენდერული სტატისტიკის შეგროვება-დამუშავებაზე, რათა მოხდეს რისკ-

ფაქტორების/დამოკიდებულებების წინასწარი იდენტიფიცირება და მათ საფუძველზე პოლიტიკისა და პროგრამული ჩარევის დაგეგმვა და განხორციელება;

- **გენდერული თანასწორობის/ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის დისკურსის წარმართვა მტკიცებულებებსა და ცოდნაზე დაფუძნებული** - საერთაშორისო კარგი პრაქტიკის ნაწილი, განსაკუთრებით კი, ნიდერლანდული მოდელი ასახავს ფემინისტურ ანალიტიკურ ჩარჩოს და პოლიტიკის ჩარევას აფუძნებს დაშვებას, რომ ძალადობა (და განსაკუთრებით, ფემიციდი), გამოწვეულია პატრიარქალურ სისტემაში ქალის კაცის მიმართ დაქვემდებარების აღქმით. დაქვემდებარება, თავის მხრივ, გამოიხატება ყოველდღიურ ჩვევებში, მეტყველებაში, საყოფაცხოვრებო ჩვევებსა და ქცევაში და შესაბამისად, გადაცემადია თაობათაშორისი უწყვეტობის ფორმით, რაც განსაკუთრებით რთულს ხდის ძალადობასთან ბრძოლას. ჰოლანდიური გამოცდილებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ერთი მხრივ, სოციალური, ეკონომიკური ძალთა ბალანსის დამკვიდრება სქესთა შორის, და მეორე მხრივ, თაობათაშორის გადაცემული, უხილავი ჩვევები და წარმოდგენები, რაც ძალადობის ნიადაგს ქმნის, არის ძირითადი სამიზნე საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვისას. ამისათვის, აუცილებელია არა მხოლოდ ძალადობის ფორმების სახელდება და იდენტიფიცირება, არამედ მიუღებელი, გენდერულად არამგრძობიარე და დისკრიმინაციული ენის, ჩვევების, პრაქტიკისა და წარმოდგენების იდენტიფიცირება, სახელდება, და მათი მისამართით საინფორმაციო/ცნობიერების კამპანიის დაგეგმვა/განხორციელება. ჰოლანდიის შემთხვევაში, მსგავსი მიდგომით დაგეგმილმა საინფორმაციო კამპანიამ გამოიწვია დაცვის მექანიზმებზე ინფორმირებულობის გაორმაგება, ზარების გაზრდა 20%-ით (შედეგად, დაცვის ცხელ ხაზზე ყოველწლიურად 60'000 ზარი ხორციელდება აღნიშნული კამპანიის შემდგომ).
- **პროგრამის/პოლიტიკური ჩარევის პროცესი ინკლუზიურია და კვლევაზე დაფუძნებული** - საერთაშორისო კარგი პრაქტიკის კვლევის საერთო მახასიათებელი, ყველა განხილულ შემთხვევაში იყო თითოეული პროგრამის/პოლიტიკური ჩარევის დაგეგმვა კონკრეტული სტატისტიკის, ინფორმაციის, ანალიზის საფუძველზე. განხილულ შემთხვევებში ხაზგასმულია, რომ მნიშვნელოვანია სტატისტიკური აღრიცხვა არა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში (მოკლული ქალების აღრიცხვა), არამედ იმ წინაპირობების სისტემური და პრევენციული მონიტორინგი და

დოკუმენტირება, რომლებიც შეიძლება ძალადობის რისკ-ფაქტორებად მივიჩნიოთ (ასაკობრივი, ფინანსური/ეკონომიკური დამოკიდებულება, მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, იმიგრაციული მდგომარეობა, ნარკო და ალკოჰოლდამოკიდებულება და ა.შ.).

შეჯამება

განხილული კარგი პრაქტიკის მაგალითები გვიჩვენებს, რომ საკანონმდებლო ცვლილებების გატარებასთან ერთად, არსებითია ფართომასშტაბიანი

მულტიდისციპლინური და მულტისექციური ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები, ფორმალური და არაფორმალური განათლების პროგრამები, რომლებიც ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის საფუძველზე მუშავდება.

მიუხედავად იმისა რომ საქართველომ მოახდინა არაერთი საერთაშორისო აქტის რატიფიცირება და ნაკისრი ვალდებულებების ეროვნულ საკანონმდებლო ბაზაში ასახვა, ქვეყანა კვლავ დგას გენდერული და ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემასთან. გარდა საკანონმდებლო სივრცის დახვეწისა⁷⁴ და რიგი დებულებების, მაგ: „გაუპატიურების“ ცნების სტამბოლის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანისა, აღსრულების ეფექტური მექანიზმების შემუშავების და ცნობიერების ამაღლების ფარგლებში, არსებითია სტრატეგიების, პოლიტიკის დოკუმენტების, ფორმალური და არაფორმალური განათლების პროგრამების, მათ შორის გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების, არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების ჩართულობით განხორციელება. არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, სასამართლო საქმეების შესწავლის, კვლევისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების მიდგომების დამკვიდრება⁷⁵.

საერთაშორისო კარგი პრაქტიკის კვლევიდან გამოიკვეთა საყურადღებო გამოცდილება, რაც მნიშვნელოვანია საქართველოს კონტექსტისა და გამოწვევების გათვალისწინებით, და დაეხმარება გენდერულ და ოჯახში ძალადობაზე მომუშავე ჯგუფებს შემდგომი დისკუსიისა და რეკომენდაციების დამუშავებისთვის:

- **მრავალდონიანი და მულტისექტორული მიდგომა, მათ შორის შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენელთა**

⁷⁴ ევროკავშირის მე-9 რეკომენდაციის შესრულების ფარგლებში მთელი რიგი დადებითი ცვლილებების მიუხედავად (კანონპროექტების გენდერზე გავლენის შეფასება სავალდებულო გახდა; მთავრობამ მიიღო დადგენილება ძალადობის მსხვერპლთა კომპენსაციის შესახებ; სახელმწიფო მომსახურებით სარგებლობის საჭიროებისას “მსხვერპლის სტატუსის” არსებობის წინაპირობა გაუქმდა; პარლამენტმა გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფცია დაამტკიცა; პარლამენტმა ერთი მოწვევით (2032 წლის ჩათვლით) გაზარდა საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების-თვის გენდერული კვოტირების მოქმედების ვადა) რჩება გამოწვევები, რომლებზეც უნდა გაგრძელდეს მუშაობა. მაგ: გაუპატიურების განმარტება სტამბოლის კონვენციის მიხედვით ჯერ არ შეცვლილა; გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციაში დაავიწროვა გენდერის დეფინიცია და ის ლგბტქ+ თემის უფლებების დაცვას არ ითვალისწინებს; ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფციამ დაავიწროვა გენდერის დეფინიცია და ის ლგბტქ+ თემს აღარ მოიცავს.

⁷⁵ საქართველოს სახალხო დამცველი, ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციის შესაბამისად, 2016 წლიდან სპეციალური მეთოდოლოგიის საფუძველზე ანალიზებს ქალთა გენდერული ნიშნით მოტივირებული მკვლევარების, მკვლელობის მცდელობების, ჯანმრთელობის დაზიანებებისა და თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმეებს. თუმცა არსებითია კვლევასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომის გათვალისწინება მართლმსაჯულების სისტემაში და შესაბამისი აქტივობების (სწავლების, ერთგვაროვანი პრაქტიკის, თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზის) დაგეგმვა.

კომპლექსური ჩართულობა - განხილული კარგი პრაქტიკის მაგალითები გვიჩვენებს, რომ ოჯახში და გენდერული ნიშნით ძალადობის პოლიტიკური და პროგრამული ჩარევა განსაკუთრებით ეფექტურია თუ ის მოიცავს სხვადასხვა რგოლს, განსაკუთრებით კი შესაბამისი სახელმწიფო უწყებებს (ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე, მათ შორის ჯანდაცვა, განათლება, მართლმსაჯულება და ა.შ.);

- **ინფორმაციის თანაბარი ხელმისაწვდომობა მოწყვლადი ჯგუფებისთვის და ინტერსექციულად მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერა** - განხილული კარგი პრაქტიკის მაგალითები აჩვენებს, რომ ინტერსექციულად მოწყვლადი ჯგუფებისთვის განსაკუთრებით პრობლემურია ხელმისაწვდომობა სხვადასხვა სერვისზე (განსაკუთრებით, მართლმსაჯულებაზე), რომელიც აღრმავებს გამოწვევებს და ამწვავებს იმ სისტემურ ბარიერებს რასაც მსხვერპლი აწყდება. ამ მიმართულებით, საყურადღებოა დანიის გამოცდილება, სადაც შემუშავდა ცნობიერების ამაღლების კამპანია 10-მდე სხვადასხვა ენაზე (რამაც დაუზოგა ეთნიკური უმცირესობების მედია ორგანიზაციებს თარგმანის ხარჯები);
- **კულტურული მგრძობელობა და მისადაგება** - განხილული კარგი პრაქტიკის მაგალითებში ხაზგასმულია სპეციფიურ კულტურაზე დაცვის სისტემების მორგებაზე;
- **ფემიციდის რისკ-ფაქტორების მონიტორინგი და ძალადობის წინარე ისტორიის შესწავლა/ანალიზი, პრევენციული ზომების შემუშავება** - განხილული საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითებზე კარგად ჩანს, რომ სახელმწიფო არ „ელოდება“ ფემიციდს ან ძალადობის ფაქტის დადგომას და აქტიურად მუშაობს გენდერული სტატისტიკის შეგროვება-დამუშავებაზე, რათა მოხდეს რისკ-ფაქტორების და დამოკიდებულებების წინასწარი იდენტიფიცირება, ხოლო შემდგომ, მათ საფუძველზე სხვადასხვა პოლიტიკისა და პროგრამული ჩარევის დაგეგმვა და განხორციელება.

შესაბამისად, კვლევასა და კვლევის ფარგლებში მიმდინარე ანალიზზე გამოკვეთილი მიგნებების საფუძველზე ჩამოყალიბდა რეკომენდაციები.

რეკომენდაციები

საერთაშორისო კარგი პრაქტიკის კვლევის საფუძველზე, საქართველოში არსებული კონტექსტის გათვალისწინებით, შესაძლებელია რეკომენდაციების შექამება საკანონმდებლო-პოლიტიკური და პროგრამული თემატური საკითხების მიხედვით. კვლევაში წარმოდგენილი რეკომენდაციები სამუშაო ფორმატისაა და

ისინი საფუძვლად დაედება სხვადასხვა გენდერულ დისკუსიას, სამუშაო ჯგუფს და სამომავლო ანალიზს, შესაბამისად, რეკომენდაციები მუდმივად ცვალებადი და განახლებადი იქნება პროცესის შესაბამისად. ამ დროისთვის, რეკომენდაციების შეჯამება შესაძლებელია შემდეგი სახით:

სახელმწიფოს:

- რეკომენდებულია გენდერულ სტატისტიკასა და ინფორმაციაზე დაფუძნებული საჯარო პოლიტიკის პროცესის წარმართვა ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე - ევროპული სახელმწიფოების კარგი პრაქტიკის ერთ-ერთი განმასხვავებელი მახასიათებელია ძალადობის ფორმების დიფერენციაცია და ჩარევის პოლიტიკის/პროგრამების მორგება ძალადობის ინდივიდუალურ ფორმებზე, მიზეზებსა და საერთო კონტექსტზე. საქართველოში არსებული კონტექსტიდან გამომდინარე, აუცილებელია დიფერენცირებული მიდგომის დანერგვა ძალადობის სხვადასხვა ფორმის მიხედვით (ინდივიდუალური მორგება კონკრეტულ მიზეზებზე, კონტექსტზე, სტრუქტურულ გამოწვევებსა და მსხვერპლის მახასიათებლებზე).

ამავდროულად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია მულტისექტორული და მულტიდისციპლინური პოლიტიკის შემუშავება, ჰოლისტური მიდგომის უზრუნველსაყოფად. კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, აუცილებელია მულტიფაქტორული გენდერული თანასწორობის სტატისტიკის წარმოება არა მხოლოდ მოკლული ქალების შესახებ, არამედ იმ სისტემური უთანასწორობის ინდიკატორების ასახვაც, რაც წარმოადგენს ოჯახში/გენდერული ძალადობის მომატებულ რისკ-ფაქტორს. აუცილებელია როგორც მუნიციპალურ, ისე ეროვნულ დონეზე დეტალური გენდერული სტატისტიკის შეგროვება და მონაცემთა ანალიზი, რომელიც შესაძლებელს გახდის საქართველოში დაინერგოს გენდერული მეინსტრიმინგი, საერთაშორისო კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით. მათ შორის, აუცილებელია სახელმწიფომ უზრუნველყოს პირდაპირი და ირიბი გენდერული სტატისტიკის წარმოება, ძალადობის მიმართ მოწყვლადი ქალების წინასწარ იდენტიფიცირებისა და ადრეული პრევენციისთვის (მათ შორის, კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური და საინფორმაციო პროგრამების გატარების მიზნით).

საერთაშორისო კარგი პრაქტიკის მაგალითებზე დაყრდნობით, აუცილებელია მოხდეს სინერგიის დამყარება სხვადასხვა დარგს შორის პროგრამულ დონეზე (მართლმსაჯულება, ჯანდაცვა, სოციალური დაცვა, განათლება, ინფრასტრუქტურა, და ა.შ.), რათა გენდერული და ოჯახში

ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა მოიცავდეს სრულ ციკლს (პრევენცია, დაცვა, რეაბილიტაცია) და გაიზარდოს გენდერულ ძალადობასთან ბრძოლის ეფექტურობა;

- რეკომენდებულია კომპლექსური აქტივობების შემუშავება და განხორციელება ფემიციდსა და ფემიციდის მცდელობაზე და ძალადობის წინარე ისტორიის დეტალურ ანალიზზე დაყრდნობით - მნიშვნელოვანია გენდერულად მოტივირებული მკვლევლობის და მკვლევლობის მცდელობის საქმეებთან დაკავშირებით გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის და სხვა საკვანძო უწყებების, მათ შორის, ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროების მონაწილეობით, ფემიციდის პრევენციის სისტემის შექმნასა და დახვეწაზე მუშაობა (მაგ: ფინეთი, სადაც მკვლევლობების მონიტორინგს (FHM) ერთობლივად აწარმოებენ სხვადასხვა უწყებები: კრიმინალისტიკისა და სამართლებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი (ჰელსინკის უნივერსიტეტი), პოლიციის ეროვნული საბჭო და პოლიციის კოლეჯის კვლევის განყოფილება. მიზანია მკვლევლობის ფენომენის მონიტორინგი, სიღრმისეული კვლევისთვის მონაცემთა ბაზის შექმნა და დანაშაულის პრევენციისა და პრევენცია-მიზნობრივი ამოცანების განხორციელება.);
- რეკომენდებულია ცნობიერების ამაღლება, საზოგადოების ინფორმირებულობა და გენდერული დისკურსი საგანმანათლებლო პროგრამებში - საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, აუცილებელია საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა იმგვარად, რომ ერთი მხრივ, უხილავი ძალადობა გახდეს ხილული, მოხდეს ძალადობის სხვადასხვა ფორმის ერთგვაროვანი სახელდება და ერთგვაროვანი აღქმის ჩამოყალიბება საზოგადოებაში, რათა შესაძლებელი იყოს ერთიანი საინფორმაციო კამპანიის განხორციელება ძალადობის წამახალისებელი სტერეოტიპების შესამცირებლად. ამავდროულად, როგორც საფრანგეთის მაგალითი გვიჩვენებს, აუცილებელია საზოგადოებასთან მუშაობა, რათა დახმარებისათვის სახელმწიფო უწყებებზე მიმართვა არ მიიჩნეოდეს გაკიცხვად/სასირცხვილო ქმედებად, რაც ხელს შეუწყობდა მსხვერპლის მიერ პოლიციაზე და სხვა სერვისებზე მიმართვიანობის ზრდას (პოტენციურად, ფემიციდის დანაშაულების თავიდან არიდების შესაძლებლობას შექმნიდა დროული ჩარევით). კვლევებზე დაფუძნებით საჭიროა, ეფექტური საინფორმაციო კამპანიის შემუშავება იმ სტერეოტიპებთან ბრძოლისთვის, რომლებიც ხელს უწყობენ როგორც

მსხვერპლის, ასევე, მის გარშემო მცხოვრები პირების/მოსახლეობის დუმილს.

საგანმანათლებლო პროგრამები: კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით აუცილებელია სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაში გენდერული და ოჯახში ძალადობის შესახებ ინფორმაციის ინტეგრირება და ყურადღების გამახვილება ისეთ საკითხებზე, როგორცაა დეფინიცია, წარმოშობა, საკანონმდებლო მოწესრიგება, დაცვის მექანიზმები, და ა.შ. (რაც წარმატებით განხორციელდა ესპანეთში). ამავდროულად, აუცილებელია როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობა ყველა პროფესიული, ასაკობრივი ჯგუფისათვის, როგორც ქალების, ისე კაცების ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში.

- რეკომენდებულია უსაფრთხო „მესამე სივრცეებისა“ და გენდერულად ინფორმირებული ინფრასტრუქტურის განვითარება - არსებითია „მესამე სივრცეების“ ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც ხელს შეუწყობს შეიქმნას დაცვის ქმედითი სოციალური სისტემები ქალების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სხვადასხვა საჯარო სივრცეში (განსაკუთრებით იმ ქალებისთვის, ვინც დიასახლისია და შეზღუდული წვდომა აქვს საჯარო სივრცესთან, რადგან, როგორც პანდემიამ აჩვენა, სახლში იზოლაციამ გაზარდა ძალადობის შემთხვევები გლობალურად).
- რეკომენდებულია მართლმსაჯულებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა - მოიცავს შემდეგ ელემენტებს: ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესაბამისად, მოქალაქეებს ჰქონდეთ გასაჩივრებისა და თავიანთი უფლებების დაცვის შესაძლებლობა. რომელიც განსაკუთრებით არსებითია მოწყვლადი ჯგუფებისთვის, მათ შორის, ინტერსექციული მოწყვლადობის მქონე ბენეფიციარებისთვის.

საქართველოს პარლამენტს და პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საბჭოს:

- რეკომენდებულია ცვლილებები შევიდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლში შემდეგი ფორმულირებით: გაუპატიურება, ესე იგი, სხვა ადამიანის სხეულში, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის, ვაგინალური, ანალური ან ორალური შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან საგნის გამოყენებით;
- რეკომენდებულია ცვლილებები შევიდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსსა და ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში

ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონში და „ოჯახის წევრის“ დეფინიციამი ჩაემატოს „ინტიმური პარტნიორი“ და მიეთითოს, რომ „მიუხედავად იმისა, მოძალადე ეწევა თუ არა საოჯახო მეურნეობას“, რათა დაცვის სისტემის მიღმა არ დარჩნენ ქორწინებაში არმყოფი პირები და სექს მუშაკები. აუცილებელია სისხლის სამართლის კოდექსში მოყვანილი დეფინიციები და ნორმები შესაბამისობაში იყოს მოყვანილი საერთაშორისო სტანდარტთან - ძირითადად, სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებულ ნორმებთან;

- რეკომენდებულია გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ფემიციდთან დაკავშირებით თემატური მოკვლევის ჩატარება (საქართველოს სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფთან ერთად) - აღნიშნული დაენმარება პრაქტიკასა თუ საკანონმდებლო დონეზე არსებული ხარვეზების იდენტიფიცირებაში, ფემიციდის პრევენციასთან დაკავშირებით რელევანტური ზომების მიღებაში;
- რეკომენდებულია გენდერული თანასწორობის საბჭომ უზრუნველყოს თემატური მოკვლევების პერმანენტულობა და სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება - სტატისტიკის ანალიზი, თემატური მოკვლევების პერმანენტულობა გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად და კვლევაზე დაფუძნებული საკანონმდებლო-პოლიტიკური საქმიანობა. მათ შორის სხვადასხვა სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავება და მათი სინქრონიზაცია, რათა გენდერული და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლა წარიმართოს მულტიდისციპლინურად და კომპლექსურად;
- რეკომენდებულია გენდერული თანასწორობის საბჭომ უზრუნველყოს გენდერული, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ამკრძალავი კანონმდებლობის მუდმივი ანალიზი და მისი ფუნქციონირების მონიტორინგი/შეფასება - ჩარევის გავლენის ციკლური შეფასების პროცესი გათვალისწინებულია კარგი პრაქტიკის განხილულ თითქმის ყველა შემთხვევაში.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლას, საქართველოს პროკურატურას, შსს-ს:

- რეკომენდებულია მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე პროფესიონალების მუდმივი გადამზადება - ადვოკატების, მოსამართლეების, პროკურორების, გამომძიებლების, პოლიციის თანამშრომლების, მოსამართლის თანაშემწეების და სხვა, გადამზადება

განსაკუთრებით, ისეთ საკითხებში როგორცაა: ფემიციდის და გენდერულად მოტივირებული დანაშაულის რისკ-ფაქტორები, ძალადობის წინარე ისტორიის ანალიზი, ინდიკატორები, კარგი პრაქტიკა და სტანდარტები, მსხვერპლთან კომუნიკაციის ფორმები არდაზიანების პრინციპის მიხედვით და სხვა;

- რეკომენდებულია მართლმსაჯულების სისტემაში გამოცდილების სისტემატიზაცია - საერთო სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობა კონფერენციების, დისკუსიების, ანალიტიკური საქმიანობის საფუძველზე, მათ შორის ბენჩ ბარების წარმართვის გზით;
- რეკომენდებულია ფემიციდისა და გენდერული ძალადობის იდენტიფიცირებისთვის, მოსამართლეებისათვის დამხმარე მეთოდოლოგიის შემუშავება - მეთოდოლოგია დაეხმარება მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე პროფესიონალებს მოახდინონ გენდერული ნიშნის იდენტიფიცირება/გამოკვეთა. არსებული საერთაშორისო პრაქტიკიდან ჩანს, რომ ფემიციდს ახასიათებს მაიდენტიფიცირებელი ელემენტები - პატრიარქალურ საზოგადოებაში დაქვემდებარების აღქმა, კულტურული კონტექსტი, ადამიანებს შორის პირადი კავშირის არსებობა და სხვა. ამავდროულად, კარგი პრაქტიკის თანახმად, ფემიციდის ინდიკატორები განსხვავდება ტიპოლოგიის მიხედვით (სადაც გამოყოფილია სხვადასხვა სახის ფემიციდი, როგორცაა, ინტიმური პარტნიორის მიერ მკვლელობა, სექსუალური ურთიერთობის ნიადაგზე მკვლელობა, 65+ ქალების მკვლელობა, „ფემიციდ-სუიციდი“ (ფემიციდის შემდგომ მოძალადის მიერ თვითმკვლელობა), თინეიჯერების მკვლელობა, ე.წ. „ღირსების მკვლელობა“, ქალი სექს მუშაკების მკვლელობა და სხვა).

ბიბლიოგრაფია

1. [A Union of Equality: Gender Equality Strategy 2020-2025](#) (Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions. Council of Europe [Gender Equality Strategy 2018-2023](#).
2. გენდერული თანასწორობის ინდექსი: Gender Equality Index 2022: the Covid-19 Pandemic and Care, European Institute for Gender Equality; ანგარიში ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

3. სსო მეტრი, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერების და ხელსაყრელი გარემოს შექმნის გზამკვლევი. საქართველო, ქვეყნის ანგარიში 2022, თბილისი. ანგარიში ხელმისაწვდომია ვებგვერდზე.
4. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენცია (CEDAW). დოკუმენტი ხელმისაწვდომია ბმულზე.
5. ქალი და კაცი საქართველოში: სტატისტიკური პუბლიკაცია, 2022, ხელმისაწვდომია საქსტატის ვებგვერდზე.
6. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ბმულზე.
7. გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ბმულზე.
8. საერთაშორისო პაქტი - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ბმულზე.
9. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ბმულზე.
10. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ბმულზე.
11. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ბმულზე.
12. გაერო, მსოფლიო მეოთხე კონფერენცია, 1995. ხელმისაწვდომია ბმულზე.
13. მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზებული ამოცანები ხელმისაწვდომია ბმულზე.
14. CEDAW, General Recommendation N19, Violence Against Women, 1992,
15. GREVIO - ს ანგარიში ხელმისაწვდომია ბმულზე.
16. CEDAW Concluding observations on the sixth periodic report of Georgia, ხელმისაწვდომია გაეროს ვებ-გვერდზე.
17. საქართველოს კონსტიტუცია. დოკუმენტი ხელმისაწვდომია საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე.
18. საქართველოს მთავრობის დადგენილება (#286,12/06/2017).
19. დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე.
20. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე.
21. გენდერული თანასწორობა საქართველოში-ბარიერები და რეკომენდაციები, 2021. დოკუმენტი ხელმისაწვდომია გაეროს განვითარების პროგრამის ვებ-გვერდზე.
22. სასამართლოს კარს მიღმა: მოსამართლეებისა და თანაშემწეების შეხედულებები სასამართლოს საგანმანათლებლო და პრაქტიკულ

- საჭიროებებზე, ღია სივრცე კავკასია, 2021. ხელმისაწვდომია ორგანიზაციის ვებგვერდზე.
23. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022 წელი, დოკუმენტი ხელმისაწვდომია სახალხო დამცველის ვებ-გვერდზე.
 24. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი, ხელმისაწვდომია ორგანიზაციის ვებგვერდზე.
 25. European Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union, მიღებული 2022 წლის 16 ივნისს, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე.
 26. Evidence for Policy-Making: Foresight-Based Scientific Advice, European Parliament Research Service, 2021, ხელმისაწვდომია ევროპარლამენტის ვებგვერდზე.
 27. University of Malta Department of Gender and Sexualities and Women's Rights Foundation, FEM-United to Prevent IPV/DV Femicide in Europe. ანგარიში ხელმისაწვდომია ორგანიზაციის ვებგვერდზე.
 28. European Institute for Gender Equality (EIGE), ხელმისაწვდომია ორგანიზაციის ვებგვერდზე.
 29. The Legislative Frameworks for Victims of Gender-Based Violence (including children) in the 27 Member States, Policy Department for Citizens' Rights and Constitutional Affairs Directorate-General for Internal Policies, 2022. ხელმისაწვდომია ევროპარლამენტის ვებგვერდზე.
 30. პუბლიკაცია Defining and Identifying Femicide: a Literature Review, European Institute for Gender Equality, 2021. პუბლიკაცია ხელმისაწვდომია ორგანიზაციის ვებგვერდზე.
 31. ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში 2020, საქართველოს სახალხო დამცველი, 2021. ანგარიში ხელმისაწვდომია სახალხო დამცველის ვებ-გვერდზე.
 32. საფრანგეთის კანონი ოჯახში ძალადობის შესახებ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია საფრანგეთის მთავრობის ვებ-გვერდზე.
 33. შვედეთის კანონი ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ანგარიშის ფარგლებში: Exploring Best Practices in Combatting Violence Against Women: Sweden, Committee on Women's Rights & Gender Equality, Policy Department for Citizens' Rights and Constitutional Affairs, Directorate General for Internal Policies of the Union, 2018. ანგარიში ხელმისაწვდომია ევროპარლამენტის ვებგვერდზე.
 34. Sweden's National Action Plan for the Implementation of the UN Council Resolutions on Women, Peace and Security, 2016-2020, lessons learned. ანგარიში ხელმისაწვდომია შვედეთის მთავრობის ვებგვერდზე.

35. Violence against Women on the Implementation of the Istanbul Convention in Denmark, Sarah Molter, 2020. ანგარიში ხელმისაწვდომია ვებგვერდზე.
36. GREVIO Baseline Evaluation Report on the Istanbul Convention implementation by the Netherlands, 2020. ანგარიში ხელმისაწვდომია ვებგვერდზე.
37. შვედეთის სისხლის სამართლის კოდექსი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე.
38. Understanding and Addressing Violence against Women, World Health Organization, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე.
39. A Guide to Risk Assessment and Risk Management of Intimate Partner Violence against Women for Police, European Institute for Gender Equality, 2019. ხელმისაწვდომია ორგანიზაციის ვებგვერდზე.
40. შვედეთის სისხლის სამართლის კოდექსი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე.
41. საქსტატი, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე.

დანართი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, ოჯახში და გენდერული ძალადობის წინააღმდეგ საქართველოში მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია:

- 1994 განხორციელდა CEDAW კონვენციის ხელმოწერა და რატიფიცირება ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად;
- 1995 მიღებული იქნა პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა;

- 1999 მიღებულ იქნა 511-ე დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს ღონისძიებებს ქალთა უფლებების დაცვის გაძლიერების შესახებ საქართველოში;
მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული საქართველოს მთავრობის მიერ გენდერული თანასწორობის ვალდებულებების პროაქტიური განხორციელების კუთხით, რომელიც განსაზღვრულ იქნა CEDAW, BPfA, MDGs, მოსახლეობის განვითარების საერთაშორისო კონფერენციაზე (ICPD) სამოქმედო პროგრამის შესაბამისად, კერძოდ: 1) ეროვნული კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემუშავების ფარგლებში ქალთა უფლებების უზრუნველყოფა;
2) ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია და რეაგირება;
3) კონფლიქტურ რეგიონებში ქალთა საკითხების გადაწყვეტა და მცდელობები ღონისძიებების განსახორციელებლად; 4) ქალთა რიცხოვნობის გაზრდა ძალაუფლებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- 2004 შეიქმნა გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო;
- 2004 განხორციელდა ათასწლეულის განვითარების მიზნების (MDG) ეროვნულ დონეზე მორგება: მიზანი 3 - გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და ქალთა უფლებების გაძლიერება:
 - o გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა დასაქმების სფეროში;
 - o თანაბარი ხელმისაწვდომობა პოლიტიკურ სფეროსა და მენეჯმენტის ყველა საფეხურზე;
- 2005 შეიქმნა გენდერული თანასწორობის სამთავრობო კომისია;
- 2006 დამტკიცდა გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია;
- 2006 დამტკიცდა საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“;
- 2006 დამტკიცდა საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“;
- 2010 დამტკიცდა საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ;
- 2012 განხორციელდა ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის დანაშაულად გარდაქმნა;
- 2013 შეიქმნა თანამდებობა - პრემიერ მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში;

- 2013 სახალხო დამცველის აპარატში ჩამოყალიბდა გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი, როგორც მუდმივმოქმედი სტრუქტურული ერთეული;
- 2013 სახალხო დამცველის აპარატმა შეიმუშავა სამოქმედო გეგმა 2013-2015 წლებისთვის, ასევე, გაეროს ტექნიკური დახმარებით შემუშავდა სტრატეგია გენდერის მენსტრიმინგთან დაკავშირებით;
- 2014 დამტკიცდა საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ;
- 2014 ხელი მოეწერა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციას (ე.წ. სტამბოლის კონვენცია);
- 2014 განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებების პირველი ტალღა, კანონმდებლობის ჰარმონიზება სტამბოლის კონვენციის შესაბამისად;
- 2015 საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დაამტკიცა გენდერული თანასწორობის სტრატეგია, დაინიშნა კოორდინატორი გენდერულ საკითხებში;
- 2016 შეიქმნა ადამიანის უფლებების უწყებათაშორისი საბჭო;
- 2017 მოხდა ევროპის საბჭოს „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენციის რატიფიცირება;
- 2017 შეიქმნა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;
- 2018 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი;
- 2018 დამტკიცდა ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებისთვის;
- 2019 საქართველომ გაეროში წარადგინა პეკინის მოქმედებათა პლატფორმის 25 წლის განხორციელების ანგარიში;
- 2020 საქართველოს ევროპის საბჭოს გრევიოს კომიტეტს წარუდგინა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენციის განხორციელების პირველი ანგარიში;
- 2020 საქართველომ გაეროს წარუდგინა CEDAW კონვენციის მეექვსე პერიოდული ანგარიში;

- 2020 საარჩევნო კოდექსში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, საქართველოში პირველად შემოდებულ იქნა კვოტები ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გაზრდის მიზნით;
- 2021 საქართველო შეუერთდა თანაბარი ანაზღაურების საერთაშორისო კოალიციას;
- 2021 საქსტატმა დაამტკიცა გენდერული სტატისტიკის სტრატეგია;
- 2022 დამტკიცდა გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს სამოქმედო გეგმა და კომუნიკაციის სტრატეგია 2022-2024 წლებისათვის;
- 2022 დამტკიცდა პარლამენტის გენდერული მგრძობელობის შეფასების მექანიზმი და მომზადდა შესაბამისი ანგარიში.